

ც ა პ ა ბ მ ო დ ე ბ ა ს ა

პირვენი ქრისტიანი



ე ც რ ა ბ ე მ ღ ლ ი ბ ა პ ც

პირების კრებული

თბილისი
2014

შოთა რუსთაველი

კეცხისფერონი

პიესა ორ მოქმედებად



ავტორისაგან

საქართველოს ისტორიაში იყო პერიოდი, რომელსაც ისტორიკოსებმა ოქროს ხანა უწოდეს. ეს პერიოდი საქართველოს მატიანის ოქროს გვირვების ნარმოადგენს, რომლის ბრნებულე მარგალიტი თამარ მეფე იყო. მის მეფობის პერიოდში XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველომ აქამდე არნახულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აყვავებას მიაღწია, ამაღლდა ქვეყნის კულტურული დონე. ამ პერიოდში იქმნება შოთა რუსთაველის გენიალური ნანარმოები „ვეფხისტყაოსანი“, თამარ მეფეს, როგორც იმ პერიოდის დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს, ხოლო შოთა რუსთაველს, როგორც პოეტსა და მოაზროვნეს, მსოფლიოში ბადალი არ გააჩნიათ. რვა საუკუნეზე მეტია ბრნებულის ამ ლეგენდარული ადამიანების სიკეთისა და სიყვარულის ლამპარი და გზას უნათებს კაცომოყვარეობისაკენ ქართველ ხალხს, რომელიც დიდი რუდუნებით და სიყვარულით მიაგებს პატივს ორივეს, რომ არ ყოფილიყო თამარ მეფე არ იქნებოდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. საქართველოს ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ძლიერებამ დიდი კულტურული აღორძინაბა გამოიწვია და შოთა რუსთაველის გრანდიოზული ფიგურა აქამდე არნახულ შემოქმედებით მწვერვალზე აღმართა, ქართველმა ხალხმა შოთა რუსთაველის პოეზია უკვდავი შარავანდეთით შემოსა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ ბევრი თქმულა და დაწერილა. იგი მრავალ ენაზე არის ნათარგმნი, მიუხედავად ამისა მან ვერ ჰქოვა ასახვა ოპერასა და ბალეტის, თეატრისა და კინოს ხელოვნებაში, ამგვარი ცდები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. ვეფხისტყაოსანის 1600 სტროფიანი ლექსის

გრანდიოზულობა და მრავალფეროვნება გარკვეულ სირთულეებს ქმნის, მიუხედავად ამისა აღნიშნული ნაწარმოების თეატრის სცენაზე დადგმა შესაძლებლად მიგვაჩნია შემოკლებული ვარიანტით, რადგან ორი საათის განმავლობამი „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი ტექსტის სცენაზე გადმოტანა შეუძლებელია, მაგრამ ამით ნაწარმოები ჩვენის აზრით არ ენინდება, რადგან მისი ძირითადი შინაარსი თანამედროვე ქართული დიალოგების საშუალებით სრულად არის წარმოჩენიდი. ასევე აღსანიშნავია რომ ზოგიერთი სცენა პიესაში ავტორის მიერ ნაწარმოენის შემოკლებულ და გადაკეთებულ შინაარსის სახით არის წარმოდგენილი, თუმცა საბოლოოდ იგი პოემაში გადმოცემული მოვლენების ადეკვატურია. ყოველივე ეს განაპირობა თეატრალური სცენის მესაძლებლობების შეზღუდულობამ.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული სირთულეებისა მიგვაჩნია რომ პირველად საქართველოს დრამატურგიის ისტორიაში თეატრალურ სცენაზე გაცოცხლებული შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გმირები დიდ სიამოვნებას მიანიჭებს მაყურებელს, ხელოვნების მიზანიც ხომ ეს არის?

მოქმედი პირები

თამარ მეფე – საქართველოს მეფე

შოთა რუსთაველი – პოეტი.

როსტევანი – არაბეთის მეფე.

თინათინი – არაბეთის მეფის როსტევანის ასული.

ავთანდილი – არაბეთის ჯარის სარდალი.

შერმადინი – ავთანდილის ერთგული ხელქვეითი.

ტარიელი – უცხო მოყმე.

ნესტან-დარეჯანი – ინდოეთის მეფის ფარსადანის ასული.

ასმათი – ნესტან-დარეჯანის ერთგული მოახლე ქალი.

ფარსადანი – ინდოეთის მეფე.

დავარი – ინდოეთის მეფის ფარსადანის და.

ფატმანი – ზღვის ქალაქ გულანშარის დიდვაჭრის უსენის ცოლი.

სოგრატი – როსტევან მეფის ვეზირი.

მოქმედება მიმდინარეობს საქართველოში,
არაბეთში, ინდოეთში 1200-1207 წლებში.

პირველი მოძრავება

სცენა №1

ქ. თბილისი. თამარ მეფის სასახლე, სამეფო ტახტზე სხედან, თამარ მეფე და დავით სოსლანი. მათ გვერდით დგანან მეფის ვეზირები და დიდებულები, სახელგანთქმული სარდლები და მგოსნები, იოანე შავთელი, სარგის თმოგველი და ჩახრუხაძე. მეფის უკან კედელზე ძვირფასი ხალიჩა კიდია, რომელზეც ბაგრატიონთა გერბი არის გამოსახული. გერბის მარცხნივ და მარჯვნივ საბრძოლო დროშები კიდია - გორგასლიანი-დავითიანი-თამარიანი. ასევე საბრძოლო იარაღები გმირი წინაპრების.

იოანე შავთელი (წინ წარსდგება თამარ მეფის წინაშე) — დიდო მეფეო. თქვენი ბრძანებით დიდებულთა დარბაზი შეკრებილია. მოსასმენი და განსახილველი არის ერთი საკითხი, ეს არის შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“. მოკლედ მოგახსენებთ რომ, შოთას მშობლები ბავშვობის დროსვე დაეხოცა. ობლად დარჩენილს ბერი ბიძა ამოსდგომია მხარში და მისი განათლებისათვის არაფერი დაუშურებია. თავდაპირველად მიუცია ბავშვი რუსთავის საეკლესიო სკოლაში, შემდეგ იგი გადაუყვანია ტბეთის მონასტრის სკოლაში. მისი დამთავრების შემდეგ ბიძას იგი გრემის სასწავლებელში მიუბარებია. იქ შოთა სწავლობდა ხუთი წელი, შემდეგ იგი იყალთოს სასწავლებელში გადაუყვანია, რომელიც დიდი დავით ალმაშენებელის დროს დაარსა არსენ იყალთოელმა. იგი ერთ-ერთი საპატიო სასწავლებელია მთელს საქართველოში. შემდგომ სწავლის გასაგრძელებლად შოთა საბერძნეთში მიემგზავრება ქალაქ ათენში, სადაც ყველა ქვეყნიდან უმაღლესი სწავლისა და მეცნიერების შეძენისათვის მიდიოდა ახალგაზრდობა. შოთამ აქ შეისწავლა: ფილოსოფია, ლიტერატურა, პოე-

ზია, მჭევრ-მეტყველება, ვარსკლავთმრიცხველობა, კარგად აუთვისებია ბერძნული და ლათინური ენები. იგი ჩინებულად არის მომზადებული ქვეყნის სამსახურისათვის.

მოსე ხონელი. (თამარ მეფეს) მას მოუწია საქართველოში ჩამოსვლა როცა თქვენი ხელმძღვანელობით საქართველომ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია ყველა მიმართულებით, შოთას ყმანვილი გული აღტაცებაში მოიყვანა თქვენმა სიბრძნემ, სიმშვენიერემ და ბრძნულმა მეფობამ და მან თქვენ მოგიძღვნათ პოემა, რომელშიც წარმოგსახათ თქვენ მშვენიერებით, სათნოებით და სიბრძნით. წარმოაჩინა საქართველოს წარჩინებული პირნი და ლირსებანი ქართველი ერისა. რადგან თანამადროვე პირების დასახელება უხერხულად მიიჩნია, მან პოემას მისცა არაკის ფორმა, მოქმედება გადაიტანა არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში. პოემის გმირებს არაბთა სახელებით იხსენიებს. მან თავის ქმნილებას დაარქვა „ვეფხისტყაოსანი“, რადგან პოემის მთავარ გმირს, ტარიელს ვეფხის ტყავის სამოსი ეცვა.

სარგის თმოგველი — თქვენის ნებართვით დარბაზში ვიხმობ შოთა რუსთაველს და თავად წაგიკითხავთ აღნიშნულ პოემას.

თამარ მეფე (მას გვირგვინი ადგას თავზე ძვირფასი ქვებით მოჭედილი და თეთრი კაბა აცვია ოქროს არშიით გაწყობილი, მას ამშვენებს დიდი შავი თვალები და ნაწილები). სთხოვეთ შემოვიდეს დარბაზში შოთა რუსთაველი.

სარგის თმოგველი. კეთილი დიდო მეფეო (იგი გადის დარბაზი-დან და შემოუძღვება შოთა რუსთაველს. შოთა შედგება მეფე დედოფლის კვარცხლბეკთან, ცალი ფეხით დაიჩოქებს და თავს დახრის მეფე დედოფლის წინაშე).

თამარ მეფე (მიმართავს შოთას). ფეხზე ადექით. (შოთა ფეხზე

დგება და დედოფალს შეხედავს) თქვენზე ბევრი სიკეთე მსმენია, გავიგე ახალი პოემა დაგინერიათ, რომელიც იმედია ყველას გაგვახარებს, გთხოვთ წაგვიკითხოთ, ეს დარბაზიც ამისთვის შემიყრია.

შოთა რუსთაველი (იგი წარმოსადგენი ახოვანი ვაჟკაცი 22-24 წლის შავი წვერ-ულვაშით, ნათელი მაღალი შუბლით, უკან გადავარცხნილი შავი ტალღისებური თმებით) დიდო მეფეო, ჩემთვის დიდი პატივი გახლავთ წარვს-დგე თქვენს წინაშე ჩემი მოკრძალებული ლექსებით. თქვენის ნებართვით მე მას დავიწყებ (იგი შლის პოე-მას და იწყებს).

კეფისტეტეანი

1

რომელმან შექმნა საძფარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეტარძთ ასწავ სულითა ყველა წერით მოხატერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არ ყოვლი ხლომწყე სახითა მის მიერითა.

ჭე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამთარე, ძლევა მეც დათორუსებურ მე სატანისა,
მომეც მიჯხურთა სურვილი, სიკვდიდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მენ თანა წასატანისა.

3

ვის ჰქონის, - ლომსა, - ხმარება შებისა, ფარ-შიშურისა,
- ქუისა მზის თაძარისა, ღაწე-ბადანშ, თძა-შიძერისა, -
მას, არ ვიყი, შეკვართ ქსხმა სოჭბისა, ქრისა?
მისთა ძღვრუტელთა ყახდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა.

4

თაძარს ვაქებდეთ ქედესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავდ გაძორჩეული.
ეკლხად ვიხმარე გაძრის ტბა და ქალბად მე ნა რჩეული,
ვიხუა ისმითს, დაქვას ლანგარი გულსა ხეული.

სცენა №2

არაბეთის მეფის, როსტევანის სასახლე. მაღალ თაღებიანი დიდი დარბაზი, რომელიც მდიდრულად არის გაწყობილი, დარაბაზის შუაში წყლის მრგვალი აუზია, რომელშიც რამდენიმე შადრევანია. აუზის გვერდით და მის ირგვლივ ძვირფასი ხალიჩები აგია. დარბაზის ერთ მხარეს, თეთრი მარმარილოს კიბეებია, რომლის თავზე არაბეთის მეფე როსტევანი ოქროს ტახტზე ზის, იგი ნარმოსადეგი დარბაისლური იერის მოხუცია, რომელის სახეს თეთრი ნევრულვაში ამშვენებს, მას თავზე ოქროს გვირგვინი ადგას, რამელსაც შუაში დიდი ძვირფასი ბრილიანტის ქვა ამშვენებს, მას სახელი აქვს განთქმული საქვეყნოდ, როგორც ბრძენსა და სამართლიან ხელმწიფეს. როსტევანის გვერდით მისი ერთგული სარდალი ავთანდილი დგას, იგი ტანად და სახით ლამაზი ნარმოსადეგი და ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა კაცია. როსტევანის გარშემო და დარბაზი მრავლად არიან დიდებულები, მხედართმთავრები, ელჩები და მეფის ვეზირები.

როსტევანი (მიმართავს შეკრებულებს). ჩემი დრო ნავიდა, ყველაზე მოურჩენელი ავადმყოფობა მჭირს, ეს სიბერეა, ჩემი დღეები დათვლილია და ალბათ მალე მოვკვდები, ასეთია წუთისოფლის წესი. რაღაც უნდა ვიღონო, მე ვაჟი არა მყავს, მხოლოდ ერთად-ერთი ასული თინათინია ჩემი გულის გამხარებელი. ვარდი რომ დაჭვნება ტურფა ბაღნარში, მის მაგიერ სხვა იფურჩქნება და ყვავის. ჩემი ასული თინათინი მინდა დავსვა ხელმწიფედ.

სოგრატი. მაგას წუ ბრძანებთ მეფევ ბატონო, თქვენი დაბერება ჯერ ნაადრევია, ვარდი თუ დაჭვნება იგი სურნელს მაინც არ კარგავს, თქვენი რისხვა ბევრ სხვის კარგს აჯობებს, ისე პირფერობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ თქვენს ასულს ნამდვილად მოუხდება მეფო-

ბა, თინათინი თუმცა ქალია, მაგრამ ჭეშმარიტად ხელმწიფედ არის დაბადებული, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

როსტევანი. აუნყეთ მთელს ჩემს სამეფოს, რომ ჩემი ერთად-ერთი ულამაზესი ასული თინათინი არაბეთის ტახტზედ დავსვი ხელმწიფედ. ვეპატიჟები ყველას, — მოდით და მოულოცეთ ეს ბედნიერი დღე ჩემს ასულს. (იგი დგება სამეფო ტახტიდან და მიდის თინათინის დასახვედრად, რომელიც დარბაზში შემოჰყავთ დიდებულებს, როსტევანი ეგებება თინათინს, ისმის ბუკის და ნალარის სასიამოვნო ხმა, თინათინთან ერთად შემოდიან ჯარისკაცები და უბრალო არაბი მოსახლეობის წარმომადგენლები, ყველა მხიარულობს და ულოცავენ ერთმანეთს ამ ბედნიერ დღეს.

როსტევანი მიიყვანს თინათინს თავის სამეფო ტახტთან, დასვამს და თავის ხელით თავზედ ოქროს გვირგვინს დაადგამს, სკიპტრას მიართმევს და ძვირფას სამეფო მოსასხმელს მოასხამს. თინათინი საშუალო სიმაღლის ტანწერწეტა ახალგაზრდა 19 წლის ქალია, რომლის ლამაზ სახეს შავი თვალ-წარბი ამშვენებს.

განსაკუთრებით გახარებული ჩანს ავთანდილი, თინათინი და ავთანდილი ხშირად უყურებენ ერთმანეთს და სიყვარულით იღიმებიან. როსტევან მეფე და მისი ამალა უკან იხევს და მუხლს იყრის თინათინის წინაშე. თაყვანს სცემენ მას, თინათინი მეფედ იქნაკურთხეული. ისმის სასიამოვნო არაბული სიმღერის ხმა, რომლის ჰანგების ქვეშ წყლის შადრევანთან ცეკვას იწყებენ არაბი მოცეკვავე ქალები. თინათინი ღელავს, განიცდის. მას თვალზედ ცრემლი ადგება).

როსტევანი. ნუ სტირი, ჩემო ასულო, ყური დამიგდე, დღეს არაბეთში მეფე შენა ხარ და ამიერიდან ეს სამეფო შენ უნდა მართო, ამ საქმეს ჭკუით უნდა გაუძღვე, გო-

ნიერი და თავმდაბალი უნდა იყო, როგორც მზე თანაბრად აფრქვევს თავის სხივებს სურნელოვან ვარდსაც და მყრალ ბალახსაც, ასევე შენც წყალობა ნუ მოგწყინდება ნურც დიდებულთათვის და ნურც მდაბიოთათვის, ქონების უხვად გამცემი იყავი და არც შენ მოგაკლდება, ზღვებსაც ხომ ერთვის შენაკა-დები და კვლავაც გაედინება. (როსტევანმა ეს უთხრა თუ არა შემდგომ სიმღერასა და ნადიმობას მიყო ხელი).

თინათინი (მამის დარიგებას ხალისით ისმენს და ყოველ მის ნათქვამს ბრძნულად აღიქვამს, მან თავისთან ერთ-გული გამზრდელი ქალი იხმო და უბრძანა) შენ რომ შენახული ჩემი განძეულობა გაქვს, გახსენი და ყვე-ლაფერი აქ მომიტანე. (მალე თინათინს ოქროს სკივ-რები მიართვეს ძვირფასი განძეულობით სავსე, თინათინი სკივრებიდან განძეულობას იღებს და სასახლეში შეკრებილ მოსახლეობას უხვად ურიგებს. იგი თავის ხელით ურიგებს ოქროსა და ვერცხლის მონეტებს აღტაცებულ ხალხს, ქალი თუ კაცი, მდა-ბიო თუ დიდებული იმ დღეს თინათინის ნაბოძვარით აივსნენ, მოლაშქრეები ერთიმეორეს ასწრებდნენ ძვირფასეულობის აღებაში. როსტევან მეფეს კი მოწყენილობა დაეტყო).

ავთანდილი (მიმართავს მეფის ვეზირს სოგრატს). მოწყენილო-ბას ვატყობ ჩვენს მეფეს, ნეტა რა უნდა იყოს ამის მიზეზი, იქნება გეკითხა სოგრატ მიზეზი მისთვის.

სოგრატი. კეთილი, ვკითხავ. (იგი როსტევანთან მიდის და ეკითხება) მეფევ ბატონო, რატომ ხართ მოწყენილი, იმას ხომ არ დარდობთ, რომ თქვენმა ქალიშვილმა დიდალი ძვირფასეულობა გასცა?

როსტევანი. არა სოგრატ, ეგ არ მადარდებს, ჩემი სიძუნნე აბა ვის გაუგია, მე ის მადარდებს, რომ დავბერდი და ერთი ასულის გარდა არავინ მყავს, ლმერთმა ვაჟი არ

მომცა, რომ მშვილდოსნობაში მაინც დამმსგავსებოდამ ისევ ავთანდილი თუ შემედრება, თორემ სხვა არავინ მეგულება ასეთი (მის გვერდზე მდგომ ავთანდილს გაეცინება). რა გაცინებს ავთანდილ, მითხარი ნუ მომერიდები.

ავთანდილი. გეტყვი მეფეო, მაგრამ არ გეწყინოს, თქვენზე ნაკლები მშვილდოსანი არც მე გახლავართ, თუ არ გჯერათ ერთმანეთს შევეჯიბროთ, მოწმედ კი თქვენი ყმები წავიყვანოთ.

როსტევანი. კეთილი, წავიდეთ და ვინადიროთ, იქ გამოჩნდება ვინ ვის აჯობებს. სანაძლეოც დავდოთ, ვინც უფრო ცუდი მშვილდოსანი იქნება, სამ დღეს თავშიშველა ივლის (მან ავთანდილს მეგობრულად გაულიმა).

მე მონადირებს უბრძანებ, რომ ხვალ ნადირთა ჯოგი მინდვრად გამორეკონ, დილით ადრე სანადიროდ გავდივართ. (როსტევანი დროსტარებას და ლხინს მიეცა).

სცენა №3

როსტევან მეფის სასახლე – სამეფო დარბაზი ცარიელია. შემოდის როსტევან მეფე. იგი მოწყენილია, მას მოყვება ავთანდილი. როსტევანი დარბაზის კუთხეში მდგარ დიდ მუხის მაგიდას მიუჯდება, ავთანდილი როსტევანს მაგიდაზე მდგარ დოქიდან ვერცხლის თასში წყალს დაუსხამს და მიაწვდის.

ავთანდილი. გთხოვთ მიირთვათ მეფევ ცივი წყალი!

როსტევანი. მადლობთ ავთანდილ (იგი თასს გამოართმევს და მოსვამს ოდნავ). ეს რა უბედურება დაგვატყდა თავზედ ავთანდილ, ნეტა ვინ უნდა იყოს ის უცნობი მოყმე.

ავთანდილი. ვინც არ უნდა იყოს მეფევ მას მე აუცილებლად ვიპოვი, მან მოახერხა და ხელიდან დაგვისხლტა,

მაგრამ მომავალში ამას ვეღარ შესძლებს (დარბაზში თინათინი შემოდის. იგი მიდის მამასთან, მოქვევა და ჰკითხავს).

თინათინი. ასე რატომ ხარ მოწყენილი, რა არის თქვენი უგუნებობის მიზეზი მამა?

როსტევანი. ნადირობის დროს მე და ავთანდილი ვიღაც უცხო მოყმეს გადავეყარეთ. დღეს დილით მე და ავთანდილი ამალით სანადიროდ ვიყყავით, ცხენები გავაჭენეთ და მინდვრად გამოდენილ ნადირს ისრის ტყორცნით დავერიეთ. მე და ავთანდილი ცხენებს წინ მივაჭენებდით და მთაზე მარცხნივ და მარჯვნივ გამოსულ ირმების ჯოგს მარჯვედ ვსტყორცნიდით ისარს, მონები გვერდზე მოგვყვებოდნენ და სწრაფად გვაწვდიდნენ ისრებს. ასე ჯირითით განვვლეთ ვრცელი მინდორი და მდინარის პირას სადაც კლდეები აღმართულიყო იქ შევჩერდით, ნადირი იქვე მახლობლად ტყეში გაუჩინარდა, იქ ცხენებისათვის გაუვალი გზა იყო, ნადირობით განვლილ მინდორს თვალი გადავავლეთ. იგი ჩვენს მიერ დახოცილი ნადირით იყო სავსე, ჩვენ ერთმანეთს ვეხუმრებოდით, არა მე გაჯობე და არა მეო, ამ დროს ჩემი მშვილდოსანი ამალაც მოვიდა, მე მათ შევეკითხე, ვინ უფრო მეტი ნადირი დახოცა, მე თუ ავთანდილმა? ოლონდ ნურაფერს დამიმალავთ მეთქი. მათ მომახსენეს რომ მათ გულდასმით დაათვალიერეს დახოცილი ნადირი და ავთანდილის მიერ დაჭრილი მხეცი ერთიც ვერ ნახეს, ორივეს მრავალი ნადირი დაგიხოცავთ, მაგრამ ავთანდილის ისრით მოუკლავს მეტი და რამდენიც უსვრია ისარი, ერთიც არ აუცილებია, თქვენი ისრები კი დაცდენილი მრავალი მიწით დასვრილი ამოგვილია. მე გამეხარდა და ავთანდილს გამარჯვება მიულოცე, შემდეგ მხლებს ვუბრძანე იქვე მდგარ დიდი ხის ჩრდილში შეგვესვენა, ლაშქარმაც იქ იწყო თავმოყრა, ყველა მხი-

არულობდა, ჩვენ ლამაზი ბუნების ცქერით ვტკბებოდით. მეომრებმა კოცონი გააჩაღეს და ირმები გაატყავეს, კოცონზე ირმის ხორცის მწვადი აშიშინდა, ჩემმა მეომრებმა მონადირეთა სიმღერა წამოიწყეს. (მეფე აღელვებისაგან თავს ხრის და ავთანდილს ეუბნება) გთხოვ გააგრძელო მოყოლა და თინათინს ბოლომდე აუსნა ჩემი ცუდად ყოფნის მიზეზი.

ავთანდილი. ამ დროს ჩვენთან ერთი მეომარი მოდის და უცნაურ ამბავს გვიყვება, რომ მან კლდის დაბლა მდინარის პირას, დიდ ლოდზე განმარტოებით მჯდომი უცხო მოყმე ნახა, იგი ფიქრებში იყო გართული და მის გარშემო რა ხდებოდა, არაფერი ესმოდა, მის ფიზიკურად ძლიერ სხეულს ვეფხის ტყავისაგან შეკერილი სამოსი ამშვენებდა, თავზე ვეფხის ტყავისვე ქუდი ეხურა, ხელში კი მაჯაზე მსხვილი მათრახი ეჭირა, მეომარი მიუახლოვდა და ჰყითხა მას, თუ ვინ იყო და აქ რას აკეთებდა, მაგრამ უცხო მას ხმას არ სცემდა და მა მწარედ ტიროდა. მეფემ მეომარს უთხრა, რომ კვლავ წასულიყო მასთან და გაერკვია, ვინ იყო და ჩვენთან მოეყვანა. ცოტა ხნის შემდეგ იგი ისევ მობრუნდა და შეგვახსენა რომ მან უცხო მოყმეს ვერაფერი შეასმინა, იგი კვლავ უძრავად ზის და მწარედ სტირის.

მაშინ მეფე განრისხდა და უბრძანა თორმეტ მეომარს წასულიყვნენ მასთან და ის უცნობი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, წყლის პირას მჯდომი მისთვის მოეგვარად. მეომრები ყოველი მხრიდან გარს შემოერტყნენ უცნობს და მისი შეპყრობა სცადეს, უცნობმა როგორც კი იარაღის ჟღარუნის ხმა გაიგო, სწრაფად წამოხტა, ვა-მეო! ერთი თქვა და თავის შავ ცხენს მოახტა და ჩვენს მეომრებს გაერიდა, მაგრამ მათ გზა გადაუჭრეს და მისი შეპყრობა მოინდომეს, მაშინ უცნობმა მოყმემ მათ საშინელი დღე დააყენა ისე,

რომ ხმალი არ უხმარია, მან მათრახი გადაუჭირა რამდენიმე მეომარს თავზედ და სისხლი ადინა, ზოგი მოგვიკლა და თვითონ აუღელვებლად გზა გააგრძელა, ეს რომ მე და მეფემ გავიგეთ, ცხენებზე შევსხედით და უცნობს გამოუდექით, მაგრამ ნახა რა მან რომ თვით მეფე მისდევდა შესაპყრობად, თავის ცხენს მათრახი გადაუჭირა და ტყეში გაუჩინარდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, მის კვალს მდევარმა ვეღარ მიაკვლია. მე და როსტევანი უკან შემოვტრიალდით და ლაშქართან მივედით, სადაც დაჭრილ-დაჩენილები მრავლად დაგვხვდა. მათ იარებს უხვევდნენ და დასტიროდნენ. დალვრემილმა და დადარდიანებულმა მეფემ უკან დაბრუნების ბრძანება გასცა.

როსტევანი. ღმერთს ჩემი უზრუნველი ცხოვრება მობეზრდა და მწუხარება იმიტომ გამომიგზავნა, რას იზამ ასე-თია მისი ნება-სურვილი.

თინათინი. მართლაც უცნაური და საშინელი ამბავი გადაგხდენიათ თავს, უცხო მოყმე უნდა მოვნახოთ, ამისათვის გავგზავნოთ ქვეყნის ოთხივე მხარეს მსტოვრები და მისი ამბავი შეიტყონ.

როსტევანი. იყოს ნება შენი შვილო, გავგზავნოთ მსტოვრები ქვეყნის ოთხივე მხარეს, ეძებონ ერთი წელი და გაიგონ აქ ხორციელი იყო ის მოყმე თუ მოჩვენება. (როსტევანი დგება და გადის დარბაზიდან, მას თინათინი და ავთანდილი მიჰყებიან. გადის დრო და თინათინი შემოდის სასახლეში, მას მისი მოახლე ახლავს).

თინათინი (მიმართვას მოახლეს). წადი და ავთანდილი აქ მომიყვანე (მოახლე ქალი გადის და მალე ოთახში ავთანდილი შემოდის. თინათინს სიასამურის ბეწვით შემოსილი ძონისფერი მოსასხამი მოესხა მხრებზე, თეთრ ბროლივით ყელზე შავი თმა ბულულებად ჩამოშლოდა. მან ავთანდილს მორიდებით

შესთავაზა შორიახლოს დამჯდარიყო). ძალზედ მერიდება ამ თემაზე შენთან საუბარი, მაგრამ მეტი გზა არ მაქვს.

ავთანდილი. ბრძანეთ დედოფალო, რით შემიძლიან გემსახუროთ.

თინათინი. დღემდე ამ საკითხზე შენთან არ გამიმახვილებია ყურადღება, ვიცი გაგიკვირდებათ რომ თქვენი ნატვრა ასე სწრაფად ასრულდა, მაგრამ ჯერ იმ დარღის შესახებ მინდა გითხრათ, რომელიც ასე ძალზედ მანუხებს. შენ და როსტევანი ნადირობიდან რომ დაბრუნდით და უცხო მოყმეს რომ გადაეყარეთ, ამან მოსვენება დამაკარგვინა. გთხოვთ ის უცნობი მონახოთ, თუნდაც ამისათვის ცისა და მიწის ყველა კუნჭულის ნახვა დაგჭირდეთ, თუმცა ჩვენ ერთმანეთისათვის არაფერი გვითქვამს, მაგრამ ვიცი, რომ შორიდან მეტრფი. ამის გამო ჩემი სამსახური ორმაგად გმართებს: ჯერ ერთი, როგორც ხელქვეითს, რომელსაც ვერვის შევადარებ, მერე, როგორც ჩემს შეყვარებულს, წადი და სადაც არ უნდა იყოს ის საიდუმლოებით მოცული უცნობი კაცი მოძებნე. ამით შენს სიყვარულს ჩემდამი უფრო განამტკიცებ. სამ წელიწადს ძებნე, თუ იპოვნი გამარჯვებული დაბრუნდები, თუ ვერ იპოვნი დავი-ჯერებ, რომ ის მხოლოდ მოჩვენება იყო, მე კი დაგვხვდები, როგორც დაუმტკნარი ვარდი. ვფიცავ, რომ შენს გარდა ქმრად სხვას არავის მოვინდომებ და თუ გიღალატო, მიწა გამისკდეს და შიგ ჩავვარდე, იქ შენი სიყვარულით ვიტანჯებოდე გულში მახვილ გაყრილი.

ავთანდილი. ჩემო დედოფალო, თქვენი სიტყვები მზის სხივის ტოლფასია ჩემთვის, ჩემი სიყვარული თქვენდამი უსაზღვროა, მწამს და მჯერა თქვენი, წავალ უცხო მოყმის საძებნელად და ვიპოვი მას, სადაც არ უნდა

იყოს, თუმცა თქვენთან განშორება ძალიან მიმძიმს (ავთანდილი დგება, მიდის ახლოს თინათინთან, წინ ერთი მუხლით დაიჩიქებს და მას ხელზედ ეამბორება, შემდეგ დგება და გადის. სასახლეში როსტევანი შემოდის).

როსტევანი. თინათინ, ძვირფასო, როგორ მომენატრე (იგი თინათინს გადაეხვევა). ქვეყნის ოთხივე მხარეს გაგზავნილი ჩვენი კაცები დაბრუნდნენ, მათ მთელი წელიწადი ძებნეს უცხო მოყმე, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს, ტყუილად გაისარჯნენ.

თინათინი. ალბათ ეშმაკის სიცრუე და მოჩვენება დაგინახავთ, თქვენდა სამტროდ ზეციდან ჩამოსული, ამაზე ნულარ იდარდებთ. (დარბაზში შემოდის მეფის მოხელე და მეფეს მოახსენებს).

მოხელე. მეფევ ბატონო. ავთანდილს სურს თქვენთან შეხვედრა. **როსტევანი.** თხოვეთ შემოვიდეს. (დარბაზში ავთანდილი შემოდის).

ავთანდილი. დიდო მეფეო, თქვენ მთელი ქვეყანა ხმლით დაიმონეთ, მეც მინდა ბედი ვცადო და ვილაშქრო, თინათინის, თქვენი ასულის ხელმწიფობის ამბავი ყველას ვამცნო, მტერი გავანადგურო, მორჩილნი ვახარო, ხოლო ურჩინი კი დავსაჯო.

როსტევანი. ჩემო ლომო ავთანდილ, ომები შენ ადრეც არ დაგკლებია, მაგრამ თუ გული მიგინევს, წადი. მე მხოლოდ ერთი რამ მადარდებს, რომ უშენობით მოვიწყენ.

ავთანდილი. ხელმწიფევ, მე თქვენი ქების ღირსი არა ვარ, მეც მოვიწყენ უთქვენოდ, მაგრამ მე მალე დავბრუნდები და ერთმანეთს კვლავ პატივისცემითა და სიყვარულით შევეგებებით. (მეფე ახლოს მივა ავთანდილთან, გადაეხვევა და მოეფერება. ავთანდილი თავს დაუკრავს და გადის სასახლიდან. როსტევანი მიმართავს თინათინს).

როსტევანი. ჩემო ასულო, ჩემი დავალებით ვაჭრებმა შენთვის სხვადასხვა ქვეყნიდან საჩუქრები ჩამოიტანეს, წავი-

დეთ ვნახოთ. (ისინი გადიან სასახლიდან. სასახლეში ავთანდილი და შერმადინი შემოდიან. შერმადინი ახალგაზრდა შავგრემანი წარმოსადეგი კაცი ავთანდილის გაზრდილია და ერთგული ყმა).

ავთანდილი. შენთვის კარგად არის ცნობილი ჩემი ყველა საქმიანობა და ისიც კარგად იცი, რომ მე თინათინის სიყვარული მტანჯავს და მან უსაზღვროდ გამახარა, როცა მთხოვა უცხო მოყმის ამბის გაგება, დაბრუნების შემდეგ შენი გულის წადილს მაშინ აგისრულებო, მან სიყვარული და ერთგულება შემომფიცა, ამით ძლიერ გავიხარე, მეც ხომ მისი სიყვარული მტანჯავს, ამიტომ თხოვნა უნდა შეუსრულო, ჯერ ერთი იმიტომ რომ მისი ერთგული მსახური ვარ, მეორედ, მისი შეყვარებული, მე წასვლა გადავწყვიტე და შენ გტოვებ ჩემს მაგივრად აქ, მხედრობის მეთაურად. დარწმუნებული ვარ შენ ერთგულად გამიწევ სამსახურს, საზღვარს კარგად დაიცავ და მტერს არ გაახარებ, თუ ცოცხალი არ დავბრუნდე, მეფეს ამის შესახებ აცნობე და ჩემი სულის მოსახსენიებლად ნურაფერს დაიშურებ.

შერმადინი. ვიცი მაინც წახვალ და დარჩენას არ გთხოვთ, მაგრამ შენი მაგივრობა როგორ უნდა გავნიო, სად შენ და სად მე? სჯობს სხვა ნახო ჩემს მაგივრად, მე კი შენთან ერთად წამოვალ.

ავთანდილი. გამიგონე შერმადინ, ეს მარტო ჩემი საქმეა, ჩემი სიყვარულის დასამტკიცებლად. მე ამ საქმეზე მარტო უნდა წავიდე. შენი შემცვლელი კი მე არვინ მეგულება, სამი წელი მელოდე, თუ ამ დროში არ დავბრუნდი, მაშინ მიგლოვე. ანდერძს დაგიტოვებ, რომ მთელი ჩემი სამფლობელო შენ დაგმორჩილდეს. (ავთანდილი უბიდან წერილს ამოიღებს და შერმადინს გადასცემს, გადაეხვევა და ისინი გადიან დარბაზიდან. ავთანდილი უცხო მოყმის საძებნელად შორეულ გზას დაადგება).

სცენა №4

კლდის ძირას გამოკვეთილია დიდი გამოქვაბული. გამოქვაბულში მოჩანს დიდი ოთახი, მიგ კოცონი ანთია, ზედ ქვაბი დგას, გამოქვაბულის კედლებზე ვეფხისა და ლომის ტყავებია გაკრული, რომლებზეც საბრძოლო იარაღები: ხმლები, ფარები, შუბები ჰკიდია. გამოქვაბულის ქვის იატაკზე ვეფხისა და ლომის ტყავები არის დაფენილი, გამოქვაბულის ნინ პატარა მოედანია, მის გარშემო დიდი მუხის ხეებია. ავთანდილი ამ ხეებს არის ამოფარებული და იქედან გამოქვაბულს ათვალიერებს, უცბად ცხენის ფეხის ხმა ისმის და გამოქვაბულიდან ახალგაზრდა ქალი გამოდის, მას შავი გრძელი კაბა აცვია, თმები ხილაბანდით აქვს გაკრული, რომლიდანაც გრძელი თმის ნაწნავები მოუჩანს მხრებზე გადაკიდებული, ტყიდან რაინდული აღნაგობის ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა კაცი გამოდის, მას ტანი ვეფხის ტყავით აქვს შემოსილი, თავზეც ვეფხის ტყავისვე ქუდი ახურავს. ხელში მსხვილი მათრახი უჭირავს, მის ქამარს ხმალი და ხანჯალი ამშვენებს, ქალი მას ტირილით ეგებება და ისინი ორივე გამოქვაბულში შედიან, მალე უცხო მოყმე და ქალი კვლავ გარეთ გამოდიან, მამაკაცი ქალს ემშვიდობება და მიდის, ქალი კი გამოქვაბულში შედის. ავთანდილი ხეებს შორის არის დამალული და ყოველივე ამას თვალს იქიდან ადევნებს. მან იცნო უცხო მოყმე და გადაწყვიტა ქალს გამოელაპარაკოს მის ვინაობის დასადგენად. იგი გამოდის სამალავიდან და გამოქვაბულისკენ მიდის, იქიდან კვლავ ის ქალი გამოდის, მაგრამ დაინახავს რა უცნობ მამაკაცს, ყვირილს იწყებს და ვიღაცას საშველად იხმობს.

ავთანდილი. (ქალს მკლავში ხელს მოკიდებს და ეუბნება). დამშვიდი დაო, მე სიკეთისათვის ვარ მოსული, დავეძები იმ ყმას, ვინც ახლა ეს-ეს არის დაგემშვიდობა.

ქალი (ტირილით ეუბნება). თავი დამანებე, ნუ მთხოვ იმას, რაც არ შემიძლია, ჩემგან მისი ამბის თხრობას ნუ მთხოვ.

ავთანდილი. დაო, რომ იცოდე რა სიშორიდან მოვდივარ და რა

გაჭირვება გამოვიარე, რომ ამ უცნობი ადამიანის ამბავი შემეტყო, რაც არ უნდა გაპრაზდე ჩემზე, მე მაინც არ დაგეხსნები, სანამ მის ამბავს არ მომიყვები.

ქალი. ჩემგან ვერაფერს გაიგებ. ტყუილად ირჯები.

ავთანდილი (ქალს თმებით მოზიდავს, ხანჯალს კი კისერზედ დაადებს და ეტყვის) მითხარი გირჩევნია, თორემ სიცოცხლეს გამოგასალმებ.

ქალი. მაგ ხერხით ვერაფერს მიაღწევ, ნუ გგონია, რომ სიკვდილი ტანჯვად მიმაჩნდეს, ჩემთვის მაინც ჩალის ფასი აქვს.

ავთანდილი (ქალს ხელს უშვებს, ცალკე დაჯდება და ქალს მოუბოდიშებს). მაპატიე რომ გაგაბრაზე, ვიცი შენს ნდობას აღარ ვიმსახურებ, მაგრამ რა ვქნა, შეყვარებულის გულისთვის კაცი რას არ ჩაიდენს, შეყვარებულს ხომ შეპრალება უნდა? ნუ გამწირავ, თუ გული მოგიბრუნდა ჩემსკენ და გამიგებ, შენთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ. ახლა ან მომკალ, ან მცოცხლე.

ქალი. (იგი მოლბა როგორც კი ავთანდილის შეყვარებულობა შეიტყო). რახან შეყვარებული ახსენე და მის გამო სჩადი ამას, მაშინ შენ დად მიმიღე და რასაც გეტყვი, ისე მოიქეცი.

ავთანდილი. მეტი რა გზა მაქვს.

ქალი. რაკი ამდენი გასაჭირი აგიტანია და მოგითმენია, ცოტაც კიდევ მოითმინე, იმ მოყმის ამბავი რომ გაინტერესებს, იგი ენით დაუწერელი და დაუჯერებელი ამბავია. სჯობს მან თვითონ გიამბოს, იმ მოყმეს ტარიელი ჰქვია, მე კი ასმათი. ამ გამოქვაბულში ვართ უკვე კარგა ხანია, თავს კი მისი ნანადირევით ვირჩენთ, დანარჩენს ნუ მკითხავ, ეხლა წამოდი გამოქვაბულში დაგმალავ (ისინი შედიან გამოქვაბულში). აქ იყავი და მომიცადე. როცა ტარიელი დაბრუნდება, შევეცდები შენი თავი შევაყვარო და მერე გაგაცნობ და იგი ყველაფერს თვითონ გიამბობს, შენ კი შენს სატრფოს სურვილს აუსრულებ და გახარებ. (ამ დროს გამოქვაბულთან ახლოს ხმაური ისმის, ცხენის ფეხის ხმა).

აი, მოვიდა კიდეც ის, ვისი ამბის შეტყობა ასე ძალიან გინდა, ახლა ამ გამოქვაბულში დაგმალავ და სანამ არ დაგიძახო, არ გამოჩნდე, თორემ მას ცოცხალი არა-ვინ გადაურჩება, თუ გაბრაზდა. (ასმათი ავთანდილს გამოქვაბულში გადამალავს, თვითონ გარეთ გამოდის და გამოქვაბულის წინ მომავალ ტარიელს შეხვდება).

ასმათი. რად დაბრუნდი, ხომ არაფერი შეგემთხვა?

ტარიელი. გზაზედ ერთ მეფეს გადავეყარე, რომელიც ტყეში ნადირობდა და ნადირიც მრავლად დაეხოცა, თან მრავალრიცხოვანი ლაშქარი ახლდა, თავი მოვარიდე, ადამიანებთან შეხვედრამ სევდა მომგვარა, უკან გამოვბრუნდი და აქეთ წამოვედი. აქ მოვიცდი და ხვალ ისევ წავალ, იქნება ერთმანეთს ავცდეთ.

ასმათი. უღრან ტყეში მარტოდ რომ დაეხეტები და მხეცების გარდა არავისთან ურთიერთობა არა გაქვს, განა ეს კარგია? ერთი კაციც კი ვერ ნახე, რომ დარდის გამზიარებლად გყოლოდა. მაგრამ დიდია უფლის მადლი, მან იგი თვითონ მოგივლინა და გთხოვ, არ გაბრაზდე! ისეთ კაცს გაჩვენებ, რომელიც შენი დარდისა და ვარამის გამზიარებელი იქნება.

ტარიელი. განა არის ამ ქვეყანაზე ეგეთი ადამიანი, ღმერთს ესეთი კაცი ქვეყანაზე არ გაუჩენია, შენს გარდა დაო, ხორციელი არავინ მყავს, შენ რაც გაჭირვება გადაიტანე, სხვა ვერავინ გაუძლებდა.

ასმათი. გაჩვენებ ეგეთ ადამიანს, ოლონდ დაიფიცე, რომ არაფერს ავნებ.

ტარიელი. თუ მაჩვენებ, დიდად გავიხარებ, ჩემს სიყვარულს ვფიცავ, მას არაფერს დაუშავებ. (ასმათი დგება ფეხზე, ავთანდილის მოსაყვანად მიდის, მას ხელს მოკიდებს და ტარიელთან გამოიყვანს. ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს მიესალმებიან, შემდეგ ერთმანეთს გადაჰკოცნიან და იატაკზედ დაგებულ ვეფხის ტყავზე დასხდებიან სასაუბროდ).

ტარიელი. შენი ამბის შეტყობას ვისწრაფვი, მე კი სიკვდილსაც
აღარ ვახსოვარ, ზურგი შემაქცია და ჩემზედ ხელი
აიღო.

ავთანდილი. ოღონო და გმირო ტარიელ, მე არაბი ვარ და იქ მიდ-
გას სასახლეები, ჩემი ხელმწიფის ასულზე თავდავიწ-
ყებით ვარ შეყვარებული, შეიძლება არ გახსენდები,
მაგრამ ნანახი გყევარ, თუ გახსენდება, მე და ჩემი
ხელმწიფე სანადიროდ ვიყავით გამოსული, ჩვენმა
მოლაშქრეებმა შენი მყუდროება დაარღვიეს და სამ-
აგიეროც მიიღეს, მას აქეთ ბევრი გეძებეთ, მაგრამ
შენს კვალს ვერსად მივაკვლიეთ. ბოლოს ჩემმა სატრ-
ფომ მე გამომგზავნა და შენი ამბის გაგება დამავალა
და მხოლოდ ამის შემდეგ შემპირდა ცოლად გაყოლას,
ვადა სამი წელი მომცა. აი კიდეც ამოიწურა ეს დროც,
შემთხვევით ხატაელ მძარცველებს წავაწყდი, შენ
რომ მათრახით ჭკუაზე მოგიყვანია და მათ
მომასწავლეს შენი სადგომი.

ტარიელი. მახსოვს მაშინდელი შეტაკება თქვენს მეომრებთან,
თუმცა დიდი ხნის წინათ იყო, შენ და შენი გამზრ-
დელი ერთად გნახეთ სანადიროდ რომ იყავით გამო-
სული, მე ჩემი დარდით ვიყავი გულჩათხრობილი, არ
ვიცი რას მერჩოდით, ჩემგან რა გინდოდათ, საერთო
და საზიარო არაფერი გვქონდა, თქვენ გალალებული
იყავით დროსტარებით, მე კი ჩემი დარდი მქონდა,
თქვენი მეომრები ჩემს შესაპყრობლად გამოგზავნეთ,
მაგრამ ეს ვერ მოახერხეთ, მერე მოვიხედე და შენი
პატრონი ხელმწიფე დავინახე ცხენით რომ მეწეოდა,
ჩემს ცხენს დეზი ვკარი და იმ ადგილს სწრაფად გავ-
შორდი, ისე რომ ხმა არ გამიცია. იმ ხატაელებს კი
კადნიერად ჩემი მორევა რომ არ მოენდომებინათ,
არაფერს ვავნებდი. შენი ნახვა კი დიდად მეამა, გასა-
ჭირი უკვე გამოგივლია და აგერ მნახე. რა გაეწყობა,
ძნელია იპოვნო ღმერთისგან განწირული კაცი.

ავთანდილი. საქები არაფერი დამიმსახურებია ჯერ, თუმცა სამსახურიცა და სატროც მივატოვე და მზად ვარ შენს დასახმარებლად სიცოცხლე არ დავიშურო და სიკვდილამდე შენთან ვიყო.

ტარიელი. გასაოცარია, მე შენთვის არაფერი სიკეთე არ გამიკეთებია და ასე გულითადათ როგორ მექცევი, მაგრამ სწორედ რომ შეყვარებულმა შეყვარებული უნდა შეიბრალოს, შენს სატროც ჩემს საძებნელად გამოუგზავნიხარ და აი შევხვდით კიდეც, მაგრამ ჩემი ამბის მოყოლა ძალზედ მიმძიმს.

ასმათი. ჩემო ლომო ტარიელ! ცეცხლს ცრემლით რას უშველი, ამ კაცს შენთვის თავი გადაუდია და მოუყევი შენი ამბავი, იქნებ შენც გულზედ მოგეშვას ტკივილი.

ტარიელი. ჩემი სენი უმკურნებელია, მაგრამ რაც არ უნდა დამემართოს, ჩემს ამბავს გიამბობ ძმაო, შენ კი ასმათ დოქით წყალი მომიტანე სულის მოსათქმელად. (ტარიელი გულზედ პერანგს შეიხსნის და მოსაყოლად მოემზადება). ინდოეთის შვიდი სამეფოდან ექვსი მეფე ფარსადანს ეპყრა, რომელიც სიუხვითა და სიმდიდრით გამოირჩეოდა. იგი ძლიერი და ამაყი მეომარი იყო, მარტოს შეეძლო მთელს რაზმს გამკლავებოდა. მეშვიდე სამეფო მამაჩემის — სარიდანის მფლობელობაში იყო, რომელმაც ყველა გარშემო მტერი დაამარცხა და მშვიდობა დაამყარა, თვითონ კი დროს სიამით ატარებდა ნადირობაში და ნადიმობაში. ერთ დღეს მან გადაწყვიტა მეფე ფარსადანს ხლებოდა მთელი ინდოეთის ხელმწიფეს და თავის სამეფო მის მფარველობაში შეეყვანა. მოციქული გაუგზავნა და შეუთვალა ქვეშევრდომად შემიწყნარეო. ფარსადანმა ეს რომ გაიგო, დიდად გაიხარა და შეუთვალა მობრძანდი, ისეთ პატივს გცემ, როგორც მშობელს ეკადრებაო. ფარსადანმა მამას ერთი სამეფო საგამგებლოდ დაუმტკიცა. ამიერიდან სარიდანს

ცალკე სამეფოს მეფე არ ერქვა, თორე ისე არაფერი დაპკლებია. ფარსადანმა ის როგორც სწორი და ტოლი, ისე მიიღო და პატივი სცა, და ამირბარობა უბოძა. ინდოეთის ხელმწიფესა და დედოფალს ერთი დიდი სადარდებელი ჰქონდათ, მათ შვილი არ ჰყავდათ, რაც მათ შეშფოთებას იწვევდა. მეფე-დედოფალმა გადაწყვიტეს შვილად ავეყნავე და ტახტის მემკვიდრედ გავეზარდე. მეფურ ზრუნვასა და სწავლა აღზრდას არ მაკლებდნენ, ხელმწიფობის წეს-ჩვეულებებს მასწავლიდნენ. ხუთი წლისა ვიყავი, დედოფალი რომ დაორსულდა და მას ქალიშვილი შეეძინა (ტარიელმა ღრმად ამოისუნთქა და წყალი მოსვა). ფარსადანმა ამასთან დაკავშირებით დიდი ლხინი და ზემით გამართა, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ ხელმწიფეები და ძვირფასი საჩუქრები მიართვეს მეფე-დედოფალს და ასულის დაბადება მიულოცეს. ხელმწიფემაც უამრავი განძი გასცა. ერთად გვზრდიდნენ, მეფის ასულს წესტან-დარეჯანი ერქვა. ცოტა ხანში დიდი უბედურება მეწვია, მამა გარდამეცვალა, ფარსადანმა დიდი სულგრძელობა გამოიჩინა ჩემდამი მამის მაგიერ ამირბარობა მიბოძა და საგანმგებლოდ ერთი სამეფოც მომცა. წლები გადიოდა, მე დავაუკაცდი, ბრძოლაში და ნადირობაში ვერავინ მჯობდა, წესტან-დარეჯანს ფარსადანმა ცალკე სასახლე აუშენა და იქ ზრდიდნენ გამზრდელები, რომლებსაც მეფის და დავარი ხელმძღვანელობდა, ამიტომ რამდენიმე წელი წესტან-დარეჯანი არ მინახავს, მაგრამ ერთხელ იგი მამის სასახლეში მოვიდა და მე მას შემთხვევით თვალი მოვკარი. თვალებს არ დავუჯერე, იგი ძალზედ დამშვენებულა და ულამაზეს ქალიშვილად ქცეულიყო. მისმა დანახვამ ჩემზედ ისე იმოქმედა, რომ უსულოდ დავეცი კარებთან.

სცენა №5

ინდოეთის მეფის, ფარსადანის სასახლე. სასახლის ერთ კუთხეში განიერი საწოლი დგას, რომელზედაც ტარიელი უსულოდ წევს. მას ექიმები ეხვევიან. ცივ ტილოებს თავზე ადებენ. ერთ-ერთმა ექიმმა მიმართა მეფე ფარსადანს.

ექიმი. დიდო მეფეო, ტარიელის ავადმყოფობის ვერაფერი გამიგია, ტანით ჯანმრთელად არის, მაგრამ რაღაცის გამო გონება ამღვრეული აქვს, მას სიწყნარე უნდა გარკვეული დროის მანძილზე და ავადმყოფობაც მაღევე გაქრება.

ფარსადანი. თუ ასეა, მაშინ ვპრძნებ სასახლეში ცალკე ოთახი გამოუყონ და მზრუნველობა არ მოაკლონ (ამას ამბობს და სასახლიდან გადის, მას ყველა მომსახურე გაჰყვება და ტარიელს მარტო ტოვებენ. მალე ტარიელის საწოლს ნესტან-დარეჯანის მოახლე ასმათი უახლოვდება, ჯიბიდან პატარა ბოთლს იღებს, ხელით ტარიელს ბოთლის წყალს აპკურებს, რის შემდეგ ტარიელი თვალს გაახელს).

ასმათი. გამოფხიზლდი ტარიელ, ვისთვისაც კვდები, იმან წერილი გამოგიგზავნა (იგი იღებს ჯიბიდან ნესტან-დარეჯანის წერილს და აწვდის ტარიელს).

ტარიელი. მადლობა მოახსენეთ ქალბატონს (იგი წერილს იღებს და იწყებს კითხვას, ასმათი გადის სასახლიდან).

ტარიელი (თავისთვის ხმამაღლა ლაპარაკობს). ო ღმერთო, როგორ გამახარა მისმა წერილმა, წერილში იგი ჩემს ბნედას საყვედურობს და მირჩევს სიყვარულისთვის საგმირო საქმეების კეთებას და ხატაელების წინააღმდეგ ბრძოლას (ტარიელი დგება საწოლიდან, იცვამს და თავისთვის იძახის) ხატაელების წინააღმდეგ ომის მზადებას უნდა შევუდგე (უცბად კარი იღება და ოთახში ნესტან-დარეჯანი შემოდის. იგი საშუალოზე

მაღალი შავგრემანი 20 წლის ლამაზი ქალბატონია. მას გრძელი კაბა აცვია და თავზე შავი ხილაბანდი აქვს წამოსხმული; იგი ტარიელს უახლოვდება და ხილაბანდს იხსნის. ტარიელი გაოგნებული უყურებს მას).

ტარიელი. ო, ქალბატონო, თავი სამოთხეში მგონია. თქვენ აქ ჩემთან რამ მოგიყვანათ? (და იგი ნესტან-დარეჯანის წინ მუხლებზე იჩოქებს).

ნესტან-დარეჯანი. ფეხზე ადექით ტარიელი, გატყობთ რომ თავს უკეთ გრძნობთ (ტარიელი ფეხზე დგება და ეუბნება).

ტარიელი. თქვენი კვლავ ხილვა ჩემთვის უნეტარესი ოცნება იყო, ჩემი ავადმყოფობაც აქედან მოდის. დაგინახეთ თუ არა პირველად, თქვენმა ნათელმა სახემ ისე იმოქმედა ჩემზედ, რომ თვალთ დამიბნელდა, უსულოდ დავეცი, ასეთი რამ მე არასდროს მომსვლია. არ ვიცი ეს ყოველივე რას მივაწერო, მაგრამ ერთი ცხადია, დანახვისთანავე შემიყვარდით და უთქვენოდ სიცოცხლე წარმოუდგენლად მიმაჩნია (ტარიელი თავს ხრის შეყვარებულის წინაშე).

ნესტან-დარეჯანი. მართალია ცალკე მზრდიდნენ სასახლეში, მაგრამ ხშირად მომიკრავს თქვენთვის თვალი ასპარეზობის დროს, რომლებზეც ყოველთვის პირველი იყავით, არ დაგიმალავთ თქვენი სიყვარული მეც ბავშვობიდან გულში ჩამივარდა და ჩემთვის უცხო არ არის თქვენი გრძნობები. მაგრამ ჯობს შეყვარებულს საგმირო საქმეები აჩვენო და ამით სიყვარული დაამტკიცო, ხატაელები გათავსედნენ და მათი დამარცხებით თქვენ ჩემს სიყვარულს უფრო განამტკიცებთ, ომიდან გამარჯვებული რომ დაბრუნდები, დაქორწინებაც მაშინ გადავწყვიტოთ, მე ქმრად არავის ვისურვებ შენს მეტს და ერთგულად დაგელოდები.

ტარიელი. ჩემი სიყვარული თქვენდამი უსაზღვროა. იგი ყოვე-

ლივე სიძნელეს გადამლახინებს და თქვენთან გა-
მარჯვებით დავბრუნდები. გეფიცებით, თქვენდამი
სიყვერული ისეთი ძლიერია ჩემში, რომ წინ ვერავინ
დამიდგება — ჩვენი ბედნიერებისთვის მე თავს გავ-
წირავ.

ნესტან-დარეჯანი. მჯერა შენი, ჩემო ლომო, ეხლა კი ჯობს
საბრძოლველად სამზადისს შეუდგე, ხოლო ჩვენი
სიყვარულის შესახებ ჯერ სიტყვა არავისთან დასძრა.
ეხლა კი დაგემშვიდობები. (ნესტან-დარეჯანი გადის
სასახლიდან).

ტარიელი. უფალო ღმერთო, მადლობას გიხდი ასეთი ბედნიერი
წამებისათვის, მე ჩემს შეყვარებულის პირობას შეუს-
რულებ და ჩვენი ბედნიერების წინ არაფერი აღუდგება.

სცენა №6

ფარსადანის სასახლე. სასახლეში ზეიმია — სამეფო კარი
მტერზე გამარჯვებას ზეიმობს. მეფე ფარსადანი, დედოფალი
და მათი ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი საზეიმოდ არიან ჩაც-
მულნი და ხატაელებზე გამარჯვების გმირს ტარიელს ელიან.
უცბად ისმის ბუკის ხმა და დარბაზში გამარჯვებული ტარიელი
შემოდის თავის მეომრებთან ერთად. მეფე-დედოფალი და მათი
ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი სამეფო ტახტზე სხედან, მათ წინ
დიდი დარბაზია, სადაც სტუმრები და სასახლის დიდებულები
არიან. ისინი განზე გადგნენ და ტარიელსა და მათ მხლებლებს
გზა მისცეს მეფე-დედოფლისაკენ. ტარიელი წინ წარსდგა და
მეფეს მოახსენა.

ტარიელი. დიდო მეფეო, ხატაელები დამარცხებული არიან, მა-
თი ჯარი განადგურებულია. მიიღეთ საჩუქრად ეს
ოქრო, ვერცხლი და ძვირფასეულობა (ამბობს იგი და
ხელს მონებისკენ იშვერს, რომლებსაც ძვირფასეუ-
ლობა შემოაქვთ სასახლეში და მეფე-დედოფლის წინ

დებენ. ტარიელი ადის კიბით მაღლა და მეფე-დედოფალს ეახლება. ფარსადანი მას გადაეხვევა და გმირობა ულოცავს. შემდეგ ტარიელი ნესტან-დარეჯანთან მიდის, მას გადაეხვევა და მის გვერდით ჯდება. სასახლეში ნადიმი იწყება. ისმის ლამაზი ჰანგების ხმა და ხალიჩაზე მოცეკვავე ქალები გადიან და იწყებენ ცეკვას. ტარიელი ნესტან-დარეჯანთან ზის და მისი მონები ნესტან-დარეჯანს ძვირფასს საჩუქრებს მიართმევენ. ტარიელი ნესტან-დარეჯანს ხატაეთიდან წამოლებულ ძვირფას მოსასხამს აჩუქრებს. ნესტან-დარეჯანი კი სანაცვლოდ თავის სამხრეს აჩუქებს. მეფე ფარსადანი ამ დროს ტარიელთან მივა, გვერდზე გაიხმობს და ეუბნება).

ფარსადანი. ჩემმა სიყმანვილემ სწრაფად განვლო, ხოლო მე და ჩემს მეუღლეს ვაჟიშვილი არ შეგვეძინა, მაგრამ იმედის თვალით ვუყურებთ ჩვენს ერთად ერთ ქალიშვილს, რომლის დაქორწინების დროც მოვიდა. სასიძო ისეთი მინდა, რომ ქვეყანას კარგად გაუძლვეს, ხოლო მტერს მედგრად დახვდეს. ასეთად მე და დედოფალმა მხოლოდ ხვარაზმის ხელმწიფეს შვილი მივიჩნიეთ, რომლის უკეთეს ვერსად ვიპოვნით. რჩევა მინდა გკითხო – შენ ამაზედ რას იტყოდი. (ტარიელი ძალზედ შეშფოთდა და დაიბნა).

ტარიელი. (თვალზედ ცრემლი ადგას) თქვენ ვისაც კი სასიძოდ შვილს სთხოვთ, ყველა გაიხარებს.

ფარსადანი. (მეფემ ერთ-ერთი ვეზირი მიიხმო თავისთან და თქვა) გიბრძანებ ხვარაზმს კაცი გაგზავნო და მათ ხელმწიფეს შეუთვალო, რომ მთელი ჩვენი სამეფო უმემკვიდრეოდ არის დარჩენილი. ერთად ერთი ასული გვყავს და თუ შვილს ზედსიძედ მოგვცემ, კარგს იზამთო, რადგან ქალს იქით ვერვის გავატანთო. ვიცი, ხვარაზმ მეფე დიდად გაიხარებს ამ ამბავს რომ გაიგებს და შვილს გამოგზავნის, რომელიც სასახლე-

ში უნდა მომგვაროთ. ახლა კი ზეიმი გავაგრძელოთ. (ამ ლაპარაკს ნესტან-დარეჯანმა ყური მოჰკრა და ტარიელი გვერდზე გიხმო).

ნესტან-დარეჯანი. (გაბრაზებული მიმართავს ტარიელს). რას ჩადიხარ ტარიელ. მამას ხვარაზმთა სასიძოს ჩამოყვანაზედ როგორ დათანხმდი, ჩვენ ერთმანეთს სიყვარული შევფიცეთ, ფიცი როგორ გატეხე და მიღალატე, არ გამოგივა ეგ საქმე, ინდოეთს ვერავინ დაეპატრონება, თუ მე არ მოვინდომებ, მე თუ ცოცხალი დავრჩი, შენ ინდოეთში დიდხანს ვერ იბოგინებ. ახლა წადი და გამეცალე. შენ ჩემი ფასი არ გცოდნია. მთელი მსოფლიო რომ შემოიარო, ჩემისთანას ვერ-სად იპოვნი.

ტარიელი. შენგან დამწვარ-დადაგულს ბარემ მომკალ და ეგ იქნება, მაგრამ მანამდე ერთი მათქმევინე, მე შენი ღალატი გულში არ გამივლია. მეფემ სათათბიროდ მიხმო, მათ უფლისწულის ჩამოყვანა ეტყობა უკვე გადაწყვეტილი ქონდათ დიდვეზირების საბჭოზე, რომ დამეშალა თავისას გაიტანდნენ და მე უგუნურობად ჩამითვლიდნენ. იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი, თუმცა გულში ცეცხლი მეკიდა და ვფიქრობდი, რომ შენს თავს არავის დაუთმობდი. (ტარიელი მიდის ახლოს ნესტან-დარეჯანთან და ხელზედ ეამბორება).

ნესტან-დარეჯანი. (იგი თვალებში შეხედავს ტარიელს და ეტყვის). მე მჯერა შენი და ვნანობ, რომ შენი ღალატი გულში გავივლე. მოდი ყველაფერი ჭკვიანურად ავწონ-დავწონოთ, სასიძო რომ არ მოუშვათ, ხელმწიფეს ამით გავანაწყენებთ, შენ და ის უნდა წაეკიდოთ, ამით ინდოეთი დაზარალდება, თუ მოუშვებთ შემირთავს და ჩვენ ერთმანეთს სამუდამოდ დავშორდებით და ტანჯვაში ამოგვხდება სული, ხოლო ხვარაზმელები ინდოეთში გაბატონდებიან.

ტარიელი. ღმერთმა ნუ ქნას უფლისწულს შენი ქმრობა ელირსოს, მათ ელჩებს წინ დავუდგები და ყველას ამოვწყვიტავ.

ნესტან-დარეჯანი. მე ქალი ვარ და უდანაშაულო ადამიანების სისხლის დაღვრას არ დავუშვებ და სჯობს ერთი კაცის, სასიძოს სისხლი დაიღვაროს და მოკალი იგი. შემდეგ მამაჩემს შეუთვალე ინდოეთს სპარსთა სა-თარეშოდ ვერ გავხდი და ინდოეთს არავის დავთმობ, ჩვენი სიყვარული არ ახსენო, რომ შენს სიმართლეს ჩრდილი არავინ მიაყენოს, ხელმწიფე ჩემს თავს თვითონ შემოგხვეწენება.

ტარიელი. მე მომწონს შენი აზრი, ძვირფასო. ისე მოვიქცევი, როგორც შენ მითხარი (ტარიელი მიდის ახლოს ნეს-ტანთან და ხელზედ ეამბორება).

სცენა №7

გამოქვაბული. შიგ მაგიდასთან ფეხმოკეცილნი სხედან ტარიელი და ავთანდილი. ასმათი წყალს უსხამს ტარიელს, იგი სვამს და შემდეგ აგრძელებს თხრობას.

ტარიელი. მალე სასიძო ჩამოვიდა და იგი თავის კარავში ისვე-ნებდა. მე კარვის კალთა ხმლით ჩავჭერი, შემდეგ ხმალი გვერდზე მოვისროლე, მძინარე სასიძოს ფეხში ხელი მოვკიდე და კარვის ძელზედ თავით შემოკარი, თავგატეხილი იქვე დავაგდე. ცხენს მოვახტი და ჩემს სასახლეში წავედი. მალე ჩემთან მეფის მხლებელი მოვიდა და მეფის წერილი მომიტანა, სადაც იგი მწერ-და – რატომ ადრე არ გამაგებინე, თუ ჩემი ქალი გინ-დოდაო, უდანაშაულო ხვარაზმელი უფლისწულის სისხლი რად დაღვარე და ამით სიცოცხლე გამიმ-ნარეო. მე მივწერე მეფეს წერილი, რომ მისი ქალი მე არ მინდოდა და ვიზეც უნდოდა, იმაზე გაეთხოვებინა,

მაგრამ ინდოეთს არავის დაუთმობდი და ვინც შემე-ცილებოდა, ყველას სამაგიეროს მიიღებდა. სად არის სამართალი, ვიღაც გადამთიელი დაჯდეს ინდოეთის მეფედ და მე წელზედ ხმალი მერტყას, ამას არას-დროს დაუშვებ. ეს წერილი მეფის მხლებელს გავა-ტანე და ჩემს სარკმლიდან გადავიხედე. ჩემს სასახ-ლისკენ მტირალი და თმებგაშლილი მომავალი ასმა-თი დავინახე, გულმა ცუდი რამ მიგრძნო (ტარიელი ატირდა და თავი დახრა).

ასმათი (თვალცრუმლიანი გააგრძელა თხრობა). ტარიელი შემე-გება და მკითხა, რატომ ჩამოსტიროდა ცხვირ-პირი, რაზეც ვუპასუხე, რომ ძალზედ ცუდი ამბავი უნდა მემცნო მისთვის. მას შემდეგ რაც მეფე ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლის ამბავი გაიგო, საშინად გაბრაზდა და თქვა, რომ ეს უგუნური საქციელი ტარიელმა მისი ქალის სიყვარულის გამო ჩაიდინა და ისიც დაამატა, რომ მის დას დავარს მისი ქალიშვილი ცუდად გაუზრდია და დაიფიცა, რომ მას ამისთვის სიცოცხლეს გამოასალმებდა. ეს ამბავი ვიღაცას დავარისთვის მიუტანია, იგი მეტად გამწარებულა, — მე ამაში არავითარი ბრალი არ მიმიძლვისო უთქვამს, მაგრამ რახან ასეა, ვის გამოც უნდა მოვკვდე, დე, ისინიც ვერასოდეს ელირსონ ერთმანეთსო. შემდეგ ნესტან-დარეჯანი მოაყვანინა, თმებში წვდა და ცემა დაუწყო, თან უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და ასე ეუბნებოდა, — ბოზო, შენ როსკოპო ბოზო, საქმრო რად მოაკვლევინე და მეც შენს გამო ტყუილად ვიღუპებიო. როცა ცემით და ლანძღვით დაიღალა, ორი მონა ზანგი იხმო და უბრძანა ნესტან-დარეჯანი ნავში ჩაესვათ და ზღვაში გაეყვანათ შორს, რომ მის კვალისათვის ვერვინ მიეგნო. ზანგებმა ნესტან-დარეჯანი ძალით ნავში ჩასვეს და ზღვაში შორს გაიყ-ვანეს. თვითონ გაბოროტებულმა დავარმა გონს რომ

მოეგო, ინანა, — ეს რა ჩავიდინეო, ჩემი ძმა ცოცხალს მაინც არ დამტოვებსო და დანა გულში დაიცა და თავი მოიკლა. (ასმათი ამის მომყოლი ტირის).

ტარიელი. ასმათი მე დავაწყნარე და გადავწყვიტე ჩემი შეყვარებულის საძებნელად წავსულიყავი და ასმათიც თან წამეყვანა. ერთ ზღვისპირა ქალაქს მივადექით, სადაც ცხენზედ ამხედრებულ და ხმლით დაჭრილ მეომარს გადავეყარეთ. მას გამოვემცნაურე, იგი იქვე ახლოს მყოფ ქალაქის სახელმწიფოს მეფე აღმოჩნდა, სახელად მას ფრიდონი ერქვა და თავის წათესავებთან ქონების გამო ომი მოსვლია და იგი მათ მკლავში დაუჭრიათ. მე მას ჩემი ექიმები მივაშველე და ჭრილობები მოუშუშე, მან თავის ქალაქში მულაზანზარში მიგვიპატიუა და მეფური პატივი გვცა. მეორე დღეს ჩვენ ფრიდონის წათესავებთან საბრძოლველად წავედით და ისინი დავამარცხეთ. ჩვენ დავმეგობრდით. ერთ დღეს ფრიდონმა საოცარი ამბავი მიამბო. მას ზღვაში უჩვეულო რამ შეუნიშნავს, ნაპირს წავი მოსდგომია, იქიდან ორ შავ მონას თეთრებში ჩაცმული ლამაზი ქალი გადმოუსვამთ, რომელსაც გრძელი შავი თმა მხრებამდე ჩამოშლოდა. ეს რომ უხილავს ფრიდონს, ცხენით მათკენ სწრაფად გაუწევია, მაგრამ რა დაინახეს ზანგებმა მათკენ მომავალი მხედარი, წავი სწრაფად ზღვაში შეაცურეს და ლამაზ ქალთან ერთად სწრაფად გაუჩინარდნენ. მე ფრიდონს ყოველივე მოუყევი და ვუთხარი რომ ის ლამაზი ქალი ზანგებს რომ ყავდათ ჩემი შეყვარებული იყო. ამ ამბით გაოცებული ფრიდონი შენუხდა და მან სასწრაფოდ სხვადასხვა მხარეს გაგზავნა კაცები და დაავალა ზანგების და მათთან მყოფი ქალის ამბის გაგება, მაგრამ უშედეგოდ. მათ ვერავითარი ამბავი ვერ გაარკვიეს. მე ფრიდონს დიდი მადლობა გადავუხადე მასპინძლობისთვის. ფრიდონმა წამოსვლის წინ

საუკეთესო შავი ცხენი მაჩუქა, რომელიც დღესაც
მემსახურება. (ტარიელს ყელი უშრება და წყალს სვამს).

ასმათი. იქიდან წამოსულმა ბევრი ვიარეთ, ბევრი ვეძებეთ,
ზღვა და ხმელეთი შემოვიარეთ, მაგრამ ტარიელის
შეყვარებულის კვალს ვერსად მივაგენით. მერე ტა-
რიელმა მსახურებს და მე მომართა, რომ ჩვენ გვან-
თავისუფლებდა და მარტო გააგრძელებდა ძებნას,
მაგრამ ჩვენ არ დავთანხმდით და მასთან დავრჩით.

შემდეგ კლდეში დევების მიერ გაკეთებულ ამ გამო-
ქვაბულს წავანწყდით, დევებმა სასტიკი ომი გაგვი-
მართეს, მაგრამ ტარიელმა მოახერხა და ისინი სუყვე-
ლა გაანადგურა, თუმცა მათ მსახურები დაგვიხოცეს,
მხოლოდ მე დავრჩი მის ერთგულ მსახურად. ამის
შემდეგ აქ ვართ და ვიტანჯებით.

ტარიელი. იმ დღიდან, ძმაო აქ დავიდე ბინა. ხშირად მინდორ-
ველად დავდივარ სანადიროდ და გულს ვიქარვებ, ხან
ვსტირი, ხან კი გონებას ვკარგავ ჩემს შეყვარებულ-
ზე. ასმათი შემრჩა მანუგეშებლად. ჩემს საცოლეს
ხშირად ვიგონებ და ამ მოგონებებით ვცხოვრობ. ვეფხის ტყავიც მის გამო ამიჩემებია, რადგან იგი
ვეფხვივით მშვენიერია და ჩემი შეყვარებულის სახედ
დამისახავს. (ეს თქვა და ტარიელმა თავი ჩაღუნა და
მწარედ ატირდა. ავთანდილი გულაჩუყებულია და
თანაგრძნობით შესცქერის ტარიელს). აი შენ ხომ
მაინც გასიამოვნე, რომ ჩემი ნაღვლიანი თავგადასა-
ვალი გიამბე, ეხლა წადი და შენს სატრფოს მიაშურე,
ჩემი ამბავი მოუყევი, რახან ასე აინტერესებს.

ავთანდილი. შენმა ამბავმა გული დამწვა, ძმასავით შემიყვარ-
დი და უშენოდ გაძლება გამიჭირდება, მე წავალ და
ჩემს სატრფოს შენს ამბავს ვამცნობ და სწრაფად
უკან გამოვბრუნდები, ოღონდ შემომფიცე, რომ აქი-
დან არსად წახვალ. მე მოვალ და შენ სატრფოს
ძებნაში დაგეხმარები.

ტარიელი. ეგრე რამ შეგაყვარა ჩემი თავი, რომ ვეღარ მელევი, მეც შენ არასდროს დაგივიწყებ და ჩემს გულიდან ვერაფრით ამოგშლი. (ისინი ერთმანეთს გადაეხვევიან და ძმობას შეჰქიცავენ. ასმათი და ტარიელი ავთანდილს აცილებენ და გამოქვაბულიდან გარეთ გამოდიან).

ასმათი. მალე დაპრუნდი, ავთანდილ.

ავთანდილი. უთქვენოდ რა გამაძლებინებს, მალე გნახავთ. შინ დიდხანს არ დავრჩები, ოღონდ ტარიელი არ დამეკარგოს და მე მას არასდროს ვუღალატებ.

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

სცენა №8

როსტევან მეფის სასახლე. დარბაზში საზეიმო სუფრა არის გაშლილი. ავთანდილის მშვიდობიან ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მაგიდის თავში როსტევანი და თინათინი სხედან. როსტევანის გვერდზე ავთანდილი ზის. სხვა დიდებულებიც მრავლად არიან. დარბაზში მოცეკვავე ქალები ცეკვავენ, საამური არაბული ჰანგების ხმა ისმის.

როსტევანი. ავთანდილ შვილო, გვიამბე თავს რა გადაგხდა ან უცხო მოყმის ამბავი თუ გაიგე?

ავთანდილი. იგი სიყვარულით გულდამწვარი უმამაცესი ვაჟკაცია, ბედუკულმართობის გამო თავის საცოლეს დაექებს და ვერ უპოვნია, სამწუხაროდ მეც ვერაფრით დავეხმარე. (დამსწრეებმა ავთანდილი შეაქეს, ვაჟკაცობა დაულოცეს, ავთანდილს კი ტარიელის

გახსენებაზედ თვალზედ ცრემლი მოერია). ნუ გაიკვირვებთ რომ ტარიელის გახსენებაზე თვალზედ ცრემლი მადგება, იგი ინდოეთის დიდებულია და ჯარის სარდალი. საბრალო იტანჯება თავისი სატრფოს დაკარგვით. ამის გამო თვალცრემლიანი ტყეველად დაიარება, ვეფხის სამოსაც იმიტომ ატარებს, რომ იგი მას სატრფოს აგონებს, რომელიც ლამაზი და მიუწვდომელია. ტარიელს ნადირივით გამოქვაბულში დაუდია ბინა. ერთად ერთი ასმათი ჰყავს თან, მისი სატრფოს მოახლე და მესაიდუმლე. იგი დიდებული ვაჟკაცი და ძლიერი მეომარია. მე მას მეგობრობა შევფიცე და არასოდეს ვულალატებ, მას ამჟამად გამხნევება და დახმარება სჭირდება. იგი დიდ გასაჭირში არის ჩავარდნილი და მე მას აუცილებლად დავეხმარები. დიდო მეფეო, გთხოვ გამიშვა უკან მასთან დასახმარებლად და სიტყვას გაძლევ, მას თავის სატრფოს ვაპოვნინებ და შენ და თინათინს მალე გამარჯვებული დაგიბრუნდებით.

როსტევანი. რას ამბობ ავთანდილ, ჯერ ის ვერ მომინელებია, რომ ამდენხანს წასული იყავი და უშენოდ ლაშქარი უპატრონოდ იყო. მტრის შემოსევას ყოველდღე ველოდი, ცოტაც რომ დაგეგვიანებინა, მტრის ლაშქარი, ალბათ, ყოველი მხრიდან შემოგვიტევდა, მათ კარგად უწყით შენი მარჯვენის ძალა და ეხლა შენ რომ მოსული გნახეს, კუდამოძუებულნი მოსცილდნენ არაბეთის საზღვარს. თუ ისევ წახვალ, ისინი აუცილებლად აგვიკლებენ.

ავთანდილი. შერმადინი ჩემზე ნაკლები მეომარი და მხედართმთავარი არ არის, ჩემს მაგივრობას ის გასწევს, მტრის შემოსევის შემთხვევაში მაცნობებს და მეც სწრაფად გამოვეშურები აქეთ.

როსტევანი. შენ კარგად იცი, რომ შენ შეუცვლელი ხარ, ვერვინ შეგედრება ომის ხელოვნებაში, შენს ჩამოსვლამდე კი

ქვა-ქვალზედ არ დარჩება არაპეთში. ვიღაც უცხო მოყმის სატრფოს ნუ გადააყოლებ არაპეთის ბედს, შენ აქ დარჩები და დაიცავ არაპეთის საზღვრებს.

ავთანდილი. მე მას ძმობა შევფიცე და სიტყვა მივეცი, მისვლის ვადაც დამითქვამს, მე მისთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ. ამის შემდეგ მას როგორ უმტყუნო. მას სატრფოს პოვნაში დავეხმარები და შემდეგ იგი ინდოეთის ტახტზე მეფედ დაჯდება, რადგან მისი სატრფო ინდოეთის მეფის ფარსადანის ასულია. განა ინდოეთის მეფის მეგობრობა ჩვენთვის ცუდი იქნება?

როსტევანი. ინდოეთი შორს არის, მტერი კი ახლოს, მიუხედავად იმისა, რომ მე შენ დიდ პატივს გცემ, შენს გაშვებას ამჟამად ვერ დავეთანხმები. გიჯობს ჯარს მიხედო და საზღვარი გაამაგრო. (როსტევანი დგება და დარბაზიდან გადის. ყველა წამოიშლება სუფრი-დან, დიდებულები და ვეზირები მეფეს მიაცილებენ. ავთანდილი კი მივა თინათინთან).

თინათინი. შენმა მოყოლილმა ამბავმა, იმ საცოდავი მოყმისა და მისი შეყვარებულის შესახებ, გული მატკინა, რით უშველოთ, ჭირთა გაძლება როგორ გაუადვილოთ, რა წამლით უწამლოთ? ღმერთო გადმოგხედე!

ავთანდილი. მე ტარიელისთვის შემიფიცავს და მისვლის ვადაც დამითქვამს. ერთმანეთისთვის ძმობა გვითქვავს და ეხლა როგორ უღალატო.

თინათინი. შენ მშვიდობით დამიბრუნდი და უცხო მოყმის ამბავი შეიტყვე, ამით ჩემს გულში მეტ სიყვარულს დაიმსახურებ, წუთისოფელი ყველასათვის ამინდივით ცვალებადი ყოფილა, კაცს თურმე ხან მზეს გამოუბრწყინებს და ხან კი ცას რისხვით მოუქუხებს. ვიცი წახვალ და ყველა ღონს იხმარ, რომ ტარიელს უშველო რამე, თუმცა მე ძალზედ ვიდარდებ უშენოდ.

ავთანდილი. მეც შენთან ყოფნა მსურს მუდამ, მაგრამ ჩემი წასვლა აუცილებელია; ვიცი რომ ვარდი უეკლოდ არ

დაიკრიფება, ერთსა გთხოვ, შენს მოსაგონად მისახსოვრე რაიმე ნიშანი (თინათინი მარგალიტის მძივს იხსნის და ავთანდილს აძლევს. ავთანდილი იღებს მძივს და თინათინს ხელზედ ეამბორება, ისინი ერთმანეთს ემშვიდობებიან და თინათინი გადის დარბაზიდან. ამ დროს ავთანდილთან შერმადინი მიდის). შერმადინ, ყურადღებით მომისმინე, მე უნდა ავასრულო, მეგობრისათვის მიცემული სიტყვა და უნდა წავიდე მასთან. როსტევან მეფე არ მიშვებს, სხვა გზა არა მაქვს, უნდა გავიპარო მის დაუკითხავად, შენ კი ჩემი ლაშქრის მეთაურობა ისევ უნდა გასწიო და სახლ-კარსაც უნდა მიმიხედო, რასაც მე შემდგომ სათანადოდ დავაფასებ.

შერმადინი. განა მარტო სიარული არ მოგბეზრდა, გთხოვ თან წამიყვანო და ერთგულად გემისახურები.

ავთანდილი. ვერ წაგიყვან შერმადინ, ჩემს მაგივრობას შენს გარდა ვერავინ შესძლებს. როსტევანთან ანდერძს დაგიტოვებ დაწერილს და გადაეცი. მანამდე შენ წაიკითხე და გაეცანი. (ავთანდილი მას წერილს გადასცემს და დაელოდება სანამ წაიკითხავს).

შერმადინი. (გადახედავს წერილს). ეს რა ბრძნულად დაგინერია ჩემო ბატონო, აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, რა მოსწრებული და ლამაზი სიტყვებია. აი მაგალითად:

„რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა,
მე რად გავწირო მოყვარე ძმა უმტკიცესი ძმობისა?
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა!“

ან ეს:

„რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“

ან ესა:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მინამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანანონები.
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ გაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
მიღწვიან, მომიგონებენ, დალოცვენ, მოვეგონები.“

რა დიდებული სიტყვებია ავთანდილ.

ავთანდილი. კარგი, კმარა, შეინახე და შენებურად, დროს რომ
იხელთავ, მოახსენე ხელმწიფეს და მიართვი წერილი,
შენზე კარგად ამას ვერვინ გააკეთებს (ავთანდილი
გადაეხვევა შერმადინს, მერე დაემშვიდობება და
მიღის).

სცენა №9

გამოქვაბული, ასმათი გამოქვაბულის ნინ ტირილით ეგებება
ტარიელსა და ავთანდილს, ისინი ასმათს გადაეხვევიან და
გადაკოცნიან.

ტარიელი. ჩემო დაო ასმათ, ცრემლი იმიტომ მომდის, რომ ის
ლამაზი ცხოვრება, რომელიც ჩვენ ადრე გვქონდა,
ტანჯვით შეგვეცვალა, შენ მებრალები, თორემ მე
თავს დიდი ხანია აღარ ვიცოცხლებდი, ამიერიდან
სიკვდილი ჩემი ლხინი და ნუგეშია. (სამივე გამოქვა-
ბულში შედის, ასმათი ვეფხის ტყავს გაშლის და მეგო-
ბრები ზედ მოიკალათებენ და ტკბილ ბაას აგრძე-
ლებენ. ასმათი პატარა მაგიდას ჩაუდგამს მეგობრებს
წინ, ზედ მწვადს, პურსა და დოქით ლვინოს დაუდ-
გამს). ხომ ხედავ, არ მოგატყუე, ფიცი არ გავტეხე და

ცოცხალი დაგვხვდი მხეცებს შორის სასიკვდილოდ განწირული, სულზედ მომისწარი და მხეცების საძიგნად არ დამტოვე.

ავთანდილი. რა მოგივიდა ჩემო ძმაო, რა დროს შენი სიკვდილია, შეყვარებული ვინ არ ყოფილა, მაგრამ შენსავით არავინ მოქცეულა, სატანას ნუ აყოლილხარ და შენი ნებით თავს ნუ მოიკლავ. თუ წუთისოფელი მოიძულე, იმას როგორ იპოვნი, ვისთვისაც კვდები, მაგ დღეში მარტო შენ არა ხარ, „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა“. მე ვერც ჩემმა შეყვარებულმა და ვერც მეფის მამობრივმა შეგონებამ დამაკავა. ავდექი და შენკენ გამოვეშურე, გეძებე და ძლივს გიპოვნე ვეფხვთან და ლომთან ომგადახდილი, თავს რად იკლავდი, გამაგებინე?

ტარიელი. შენ მომლოდინეს გამიჭირდა და გამოქვაბულში ვეღარ გავძელი, ცხენზე შევჯექი და გავიფიქრე, ველ-მინდორს მოვივლი და რამეს მოვინადირებ-მეთქი. შამბნას რომ გამოვცდი, დიდ კლდეს მივადექი, მის დაბლა დავინახე ლომი და ვეფხვი ერთად მოდი-ოდნენ და ერთმანეთს სიყვარულით ეალერსებოდნენ, მათი თამაში უცბად ჩხუბში გადაიზარდა და ისინი ერთმანეთს მედგრად წაეკიდნენ. ერთმანეთს ტორე-ბი შემოკრეს დაუნდობლად, ვეფხვი მოერიდა ლომს, დაუსხლტა და გაიქცა. ლომი სწრაფად დაედევნა, ეს რომ დავინახე ცხენიდან ჩამოვხტი, ხმალი ვიშიშვლე და ლომისკენ გავიჭერი. ლომმა ვეფხვს თავი ანება და ჩემსკენ შემოტრიალდა. პირისპირ დავდექით მე და გაავებული ლომი, ერთმანეთს თვალით ვზომავდით. შემდეგ ლომმა ერთი საშინლად დაიღმუვლა და ჩემსკენ სწრაფად ისკუპა, მე მას სწრაფად გავეცალე. ლომმა მინაზედ მოადინა ზღართანი და ის იყო ჩემს-კენ კვლავ უნდა მოტრიალებულიყო ახალი ნახტომი-სათვის, რომ მე აღარ ვაცალე და რაც ძალა და ლონე

მქონდა, ხმალი თავში დავკარი ლომს და იგი თავგა-ჩეხილი უსულოდ დაეცა მიწაზედ. გაგულისებულმა გასისხლიანებული ხმალი გვერდზე გავტყორცნე და ვეფხვს მივარდი ცარიელი ხელებით, მე და ის ერთ-მანეთს შევებით. ამ დროს მიწას ზანზარი გაუდიოდა, ვეფხვი გაკვირვებული და გაშმაგებული იყო. ჩემი საქციელი მას არ ესმოდა, ვერ გაეგო, რას ვერჩოდი, მე კი ვცილობდი ვეფხვი ხელით შემეპყრო და მეკოცნა მისთვის. გაშმაგებული ვეფხვი ჩემს შეყვარებულად წარმოვიდგინე, მაგრამ ამაოდ. ვეფხვი მიღრენდა და ბასრი ბრჭყალებით მთელი ტანი დამიკანრა, სისხლი მადინა, ვატყობდი რომ თანდათან ძალა მაკლდებოდა და ვეფხვის შემოტევას ვეღარ უძლებდი. მე ბოლო ძალა მოვიკრიბე და ვეფხვს მკლავები ყელზედ მოვხვიე, მოვიმწყვდი ხელებს შუა, მთელი ძალით მოუჭირე და დავახრჩვე. შემდეგ ვეფხვი მაღლა ავწიე და რაც ძალი და ღონე მქონდა მიწაზედ უსულოდ დავანარცხე. მე სისხლი მდიოდა, დაჭრილ ლომსა და ვეფხვს შორის დავეცი, უფლის წყალობით შენც სულზედ მომისწარი. (ტარიელს ცრემლი მოერია).

ავთანდილი. გულს ნუ დაიდარდიანებ, გასაჭირს უნდა გაუძლო, გჯეროდეს რომ ღმერთი არ გაგწირავს, ასეთია მიჯნურის ბედი, ნაღველსა და ფათერაკს ვერ ასცდება, ძნელია მიჯნურობა, იგი თვით ბრძენსა გააშმაგებს და უსწავლელს ბევრ სასიკეთოს ასწავლის, იგი ზოგჯერ კაცს სიკვდილის პირას მიიყვანს, მაგრამ ვინც გასაჭირს გაუძლებს, ბოლო მანც კეთილი აქვს. (ტარიელი საჭმელს პირს არ ადებს, ავთანდილი სთხოვს რომ მან რამე შეჭამოს).

ტარიელი. ძმაო ავთანდილ, შენ ჩემი გულისათვის ძალზედ გაწვალდი, თვითონ ხედავ მე არაფერი მეშველება, სატრფო უკვალოდ დამეკარგა და ორივე ფუჭად ვირჯებით. შენ ტყუილუბრალოდ სიცოცხლეს ნუ გაიმნა-

რებ, თავად ხარ შეყვარებული და სატრფო გელოდება. გიჯობს შენს სახლსა და სატრფოს დაუბრუნდე.

ავთანდილი. მართალია, მიჯნურებს ფათერაკი მუდამ თან სდევთ, მაგრამ ღმერთი მათ არასდროს გასწირავს. შენი მიტოვება გაჭირვების ჟამს არ შემიძლიან. აქეთ რომ მოვდიოდი ჩემმა შეყვარებულმა მომინონა საქციელი და შემაქო, კეთილი საქმისათვის მიდიხარო და ისე მოიქეცი, თითქოს ჩემთვის ირჯებოდეო, აქ შენდამი მეგობრობითა და მისი ლოცვა-კურთხევით ვარ, ეხლა როგორ მიგატოვო და უკან გავიპირუნდე, მას ან ჩემს თავს რა პასუი გავცე. ამიტომ გთხოვ, როგორმე ერთ წელიწადს დამელოდე, თუ დათქმულ ვადაში ვერ მოვედი, მაშინ იცოდე, უეჭველად ცოცხალი აღარ ვიქწები და შეგიძლია კიდეც მიგლოვო.

ტარიელი. თავს არ შეგაწყენ, ბევრიც რომ გელაპარაკო, შენსას არ დაიშლი, როცა თავად დარწმუნდები, რომ ჩემი შეყვარებულის ძებნა ამაო არის, მაშინ გაიგებ ჩემი ყოფის მთელ სიდუხჭირეს. მაგრამ ისე მოვიქცევი, როგორც შენ მთხოვ. ის მაინც მითხარი, ეს ერთი წელიწადი სად იქნები, რომ დამჭირდე სად გეძებო?

ავთანდილი. მე შენი ცხენის მომცემთან მივალ, მგონი მისგან უფრო გაირკვევა შენი შეყვარებული სად არის და როგორ ვუშველოთ.

ტარიელი. შენ ამბობ ფრიდონზე?

ავთანდილი. დიახ, მასწავლე, როგორ მივიდე ფრიდონთან?

ტარიელი. სიამოვნებით. აღმოსავლეთით წადი, ზღვის პირ-პირიარე და მის სამეფოს მულანანზარს მიადგები, თუ წახო, მომიკითხე, ჩემს ამბავს აუცილებლად გკითხავს და რაც იცი – უამბე. (მეგობრები ფეხზედ წამოდგებიან, ერთმანეთს მოეხვევიან, შემდეგ გარეთ გამოვლენ. მათ ასმათიც გამოყვება, ერთმანეთს გამოემშვიდობებიან გამოქვაბულის წინ და ავთანდილი გზას გაუდგება).

სცენა №10

ზღვისპირა სავაჭრო ქალაქი გულანშარი. დიდვაჭარ უსენის და მისი მეუღლის ტურფა ფატმან ხათუნის მდიდრულად გაწყობილი სახლი. დიდი სასტუმრო ოთახი, რომლის იატაკი და კედლები მდიდრული ლამაზი ხალიჩებით არის მორთული, ოთახის შუაში დაბალი მრგვალი მაგიდა დგას, რომლის გარშემო სკამების მაგივრად დიდი სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ბალიშები და მუთაქები დევს. სუფრაზე ხილი და სასმელებია ვერცხლის და ბროლის თასებში და დოქებში. კედლებზე სხვადასხვა დასაკრავი და საბრძოლო იარაღი ჰქიდია, ოთახის ერთ კუთხეში დიდი აბრეშუმის ბალიშებითა და მუთაქებით განყობილი საწოლი დგას. ოთახის ერთ მხარეს კარები და ფანჯრებია, რომლიდანაც ზღვის ლამაზი ხედი მოსჩანს, ოთახის მეორე კუთხეში ბატარა სანერი მაგიდა დგას სკამთან ერთად. საწოლზე მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალბატონი წევს და ნიგნს კითხულობს. იგი სახლის დიასახლისია ფატმან ხათუნა, იგი ყმანვილი ქალი არ არის, მაგრამ მიმზიდველი, შავგვრემანი შეხედულების მრგვალი სახის ქალბატონია. მას გაშლილი შავი თმა მხრებზე ჩამოშლოდა, მუთაქაზედ თავი მიედო, ერთ ხელში ნიგნი ეჭირა, მეორეში კი ღვინის თასი და განხცხრომას მისცემია, ამ დროს შემოდის მისი მებაღე და მოახსენებს.

მებაღე. ქალბატონო, უცხო ქვეყნიდან დიდვაჭრები გვესტუმრნენ, მათ უფროსს, მშვენიერ და ლამაზ ვაჟკაცს თქვენი ნახვა სურს.

ფატმანი. (სიხარულს ვერ ფარავს). ახლავე აქ დამიძახე. (მებაღე გადის სტუმრის დასაძახებლად კარი იღება და ოთახში ვაჭრულად ჩაცმული ავთანდილი შემოდის, ფატმანი და ავთანდილი ერთმანეთს მიესალმებიან). დაბრძანდით და თავი ისე იგრძნეთ, როგორც თქვენს სახლში (ისინი დაბალ მაგიდასთან ბალიშებზე მოკალათდებიან). ჩემთვის ძალზედ მოულოდნელი იყო

თქვენი გამოჩენა, ასეთი წარმოსადეგი და პატივსაცემი ადამიანი კარგა ხანია ჩვენს ქალაქს არ სტუმრებია, ასე მგონია თქვენ ვაჭრულ ტანსაცმლის უკან დიდგვაროვანი ადამიანი იმაღლება.

ავთანდილი. გამჭრიახი თვალი და სანდომიანი გული გქონიათ, თქვენზე ბევრი კარგი მსმენია, ამიტომ გენდობით და გულახდილად მოგახსენებთ ყოველივეს, მე ვაჭარი არა ვარ და არც ქარავნის მეპატრონე, მე არაბეთის დიდი ხელმწიფის როსტევანის სარდალი ვარ, მრავალი ლაშქრისა და სიმდიდრის პატრონი, როსტევანს ერთადერთი ასული ჰყავს, რომელიც ჩემი შეყვარებულია. მისი თხოვნითა და მეგობრით სიყვარულით ვარ სიშორეს გადმოხვენილი. მე და როსტევანი ერთხელ სანადიროდ ვიყავით, იქ ჩვენ უცხო მოყმეს გადავეყარეთ, რომელმაც მეომრები დაგვიხოცა და გაქრა. უცნობს ვეფხის ტყავის სამოსი ეცვა. გადავწყვიტეთ მისი მოძებნა, ბევრი ვიარე და ვიწვალე, მაგრამ უცხო მოყმე მაინც ვიპოვნე ერთ მივარდნილ გამოქვაბულში, გამოვეცნაურე და დავმეგობრდით, მან თავისი უცნაური და ნაღვლიანი თავგადასავალი მიამბო, რამაც ამაფორიაქა და მოსვენება დამიკარგა, მისდამი მეტი პატივისცემითა და სიყვარულით განვიმსჭვალე, და გადავწყვიტე რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დავხმარებოდი გასაჭირში ჩავარდნილ მეგობარს, იგი თავის დაკარგულ სატრფოს დაეძებს და ვერსად უპოვნია, მის ერთ მეგობარს მუღაზანზარის მეფეს ფრიდონს ზღვისპირას შეხვედრია ის ქალი ზანგ მონებთან ერთად. მე მასთან ვიყავ ამ ამბის დაწვრილებით გასაგებად. მან ის ზღვისპირი მიმითითა, სადაც უნახავს ქალი და მისვლა ვერ მოუსწრია, რადგან ზანგები ზღვაში მიმალულან ქალთან ერთად, მე იმ ნაპირს გავყევი და ვაჭრებს გადავეყარე, რომლებსაც ზღვაში შესვლა ეშინოდათ

მეკონბრეთა შიშის გამო. მე მათ დახმარების ხელი გავუწოდე, ზღვაში მათთან ერთად შევედი და მეკონბრენი გავანადგურე, შემდეგ ვაჭრის ტანსაცმელი გადავიცვი და მათთან ერთად თქვენს ქალაქში მოვხვდი, სადაც სტუმრის პატივისცემით განთქმული თქვენი სახლი მომასწავლეს. თქვენს ქალაქში მრავალი ვაჭარი და მოგზაური ჩამოდის, შეიძლება რაიმე გქონდეთ გაგონილი ამ ქალისა და მონა-ზანგების შესახებ.

ფატმანი. ერთ დღეს ჩემს სარკმლიდან ზღვაში ნავი დავინახე. იგი ნაპირს მოადგა, რომლიდანაც ორმა ზანგმა კი-დობანი გადმოიტანა, იქიდან ლამაზი ქალი გადმოვიდა. მე მსახურნი ვიხმე და უბრძანე ქალი ეყიდათ, უარის შემთხვევაში ზანგები დაეხოცათ და ქალი ჩემთან მოეყვანათ. ესეც მოიქცნენ, უარის შემდეგ მათ ზანგები დახოცეს და ქალი მე მომგვარეს. ქალს ყველა პირობა შევუქმენი, რომ კარგად ეგრძნო თავი ჩემთან. ერთხელ ჩემმა ქმარმა ნახა ქალი და გადაწყვიტა ხელმწიფისთვის მიერთმია იგი საჩუქრად. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალი ძალით წაიყვანეს სასახლეში, საიდანაც მან მოახერხა გაქცევა, მცველები მოისყიდა ჩემს მიერ მიცემული ძვირფასეულობით, საღამოს ჟამს ჩემთან მოვიდა, ცხენი მთხოვა, მეც მივეცი და როგორც მოვიდა, ისე გაუჩინარდა.

ავთანდილი. მას აქეთ რაც ქალი გააპარე, მასზეთ რამე თუ გსმენია?

ფატმანი. როგორ არა, მაგასაც მოგახსენებთ, ერთ დღეს საღამო ჟამს ჩემს ქარვასლის კიბეზედ გადავდექი, სამი ლარიბი მონა იქვე ახლოს დასხდნენ და ქალაქში ნაყიდ სასმელ-საჭმელს შეექცეოდნენ და მხიარულად ბასობდნენ. ჩემდა უნებურად მე მათ საუბარს ყური მოვკარი, ერთი მონა ყვებოდა, რომ იგი ქაჯთა მეფის მსახური ყოფილა, მეფე მალე გარდაცვლილა და

უფლისწულების გაზრდა მამიდას, დუღარდუხტს გაუგრძელებია, კლდესავით შეუდრეველი ქალი ყოფილა. ერთხელ, ლაშქრობისას, ქაჯეთის ასეულს გზად ცხენზედ ამხედრებული ქალი შეხვედრიათ, რომელსაც განუცხადებია, რომ გულანშაროდან ქაჯეთს მოციქულად მივდივარო, და მათ ქალი ქაჯეთის ციხეში წაუყვანიათ. ეს ამბავი გავიგე თუ არა, იმწუთას ჩემი ერთგული მსახური ქაჯეთს გავგზავნე და დავაბარე, ყოველივე დაწვრილებით გაეგო იმ ქალის შესახებ. სამ დღეში დაბრუნდა და მომახსენა, რომ ის ქალი ქაჯთა მეფის დუღარდუხტისათვის მიუგვრიათ, უფლისწულს როსანს შევრთოთო ცოლადო უბრძანებია და უფლისწულსაც საცოლე დაუნიშნავს. თვითონ ზღვის გაღმა მხარეს წასულა დის დასატირებლად, თან ასე დაუბარებია, ჯერ მაგათ დასაქორწინებლად არ მცალიანო, მწუხრით ვარ გულდამწვარი, აი დავბრუნდები და მერე მივხედავ ამ საქმესო. ციხე-კოშკი ერთგულ კაცს დაუტოვა, თვითონ კი გზას გაუდგა, თან ქაჯთა რჩეული ჯარი თან წაიყვანა, ნაწილი მეომრების ქაჯთა ქალაქის მცველად დაუტოვებია, ქალაქი მაღალი კედლებით ყოფილა გარსშემორტყული, ქალაქის შუაში მაღალი კოშკი არის აღმართული, რომელშიც გზა გვირაბით ადის და იქ მაღლა ზის ქალი ლამაზი. გვირაბს ათი ათასი რჩეული ჯარი მცვლად უდგას, ქალაქს სამი კარიბჭე აქვს, რომელსაც სამ-სამი ათასი მცველი იცავს, ამ ქალაქს მტერი ჯერ ვერასდროს მორევია.

ავთანდილი. ეს რა საოცარი და სასიამოვნო ამბავი მომიყევი, ძვირფასო ფატმან. შენ ის ქალი გინახია და დახმარებიხარ, რომისთვისაც ჩემი ძმადნაფიცი იტანჯება და ველად დაეხეტება, შენ მე უდიდესი პატივი დამდე და არ ვიცი, რით გადაგიხადო. სიკვდილამდე შენი ერთგული ვიქნები.

ფატმანი. თუ ის ტანჯული ქალი, რომელიც ქაჯეთს არის დამწყვდეული, ის არის ვისაც ეძებთ, ძალზედ სასიხა-რულოა და მე ბედნიერი ვიქნები, რომ შეყვარებუ-ლებს რაიმე დახმარება გავუნიო. მოდი შევსვათ შეყ-ვარებულების სადღეგრძელო. (ფატმანი იღებს მაგი-დიდან ვერცხლის სურას და წითელ ღვინოს უსხამს ავთანდილს და თვითონაც ისხამს თასში).

ავთანდილი. დიდი სიამოვნებით უერთდები შენს სადღეგრძე-ლოს ფატმან (ისინი სასმელს სვამენ, თან ავთანდილი ფატმანს ხელზედ ეამბორება). ფატმან, შენ უდიდესი სიკეთე გააკეთე, შენი დიდი მადლობელი ვარ. (თან იგი მუხლმოყრილი ფატმანს ხელზედ ეამბორება კიდევ. ამ დროს კარი იღება და ოთახში მდიდრულად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი ამაყად შემოდის, დაინა-ხავს რა ავთანდილს მუხლმოყრილს ფატმანის წინა-შე, რომელიც მის ხელს ეამბორება, განრისხდება).

უცნობი კაცი. ეს რას ხედავს ჩემი თვალები, ბოზო დიაცო, მასხარად მიგდებ და მარცხვენ, ხვალ გათენდება თუ არა, მწარედ განანებ შენს საქციელს ამ უცხო ქვეყნიდან მოთრეულ კაცთან. (ამ კაცის ნახვით და მისი მუქარით ფატმანი შეშინდება და ტირილს დაი-წყებს).

ავთანდილი. (განრისხებული და შეურაცხოფილია). როგორა ბედავ შე თავხედო ჩემსა და მანდილოსნის შეურაცხ-ყოფას, ვინ მოგცა მაგის უფლება და ვინ ხარ შენ?

უცნობი მამაკაცი. ვინ ვარ და რა უფლება მაქვს, ამას ხვალე გაიგებთ, როცა ორივეს მოსაკლავად წაგიყვანენ.

ავთანდილი. ვინც არ უნდა იყო, შენ ხვალინდელი დღე არ გაგითენდება, რადგან მე შენ დღეს სიცოცხლეს გამოგასალმებ (უცნობი ხმალს იშიშვლებს, ავთანდი-ლი სწრაფად წამოხტება, კედელზედ დაკიდებულ ხმალს ჩამოხსნის და სანამ უცნობი გონს მოვიდოდეს, ხმლით გულს განუგმირავს. უცნობი გულგანგმირ-

ული იატაკზე დაეცემა სისხლში მოსვრილი, ფატმანი ყვირილით თავის მცველს იხმობს, როცა ის შემოვა უბრძანებს).

ფატმანი. ამ კაცის გვამს წაიღებ ნავით ზღვაში და ქვას მოაბამ და ჩაძირავ ისე, რომ არავინ დაგინახოს (მცველი მოკლულის გვამს ოთახიდან გაათრევს).

ავთანდილი. ვინ იყო ან რას გერჩოდა ეს უცნობი კაცი?

ფატმანი. ეგ კაცი სასახლის ერთ-ერთი დიდებული იყო, მას ერთხელ შემთხვევით იმ ქალის ჩემს მიერ გაპარების ამბავი გავანდე, მას შემდეგ მემუქრებოდა, თუ ჩემი არ იქნები, ყოველივეს ხელმწიფეს მოვახსენებო, დღესაც მაგას მემუქრებოდა, მას ქალის ჩემს მიერ გაპარების ამბავი ხელმწიფისთვის რომ გაენდო, მართლა ცუდ დღეში ჩავვარდებოდით. შენ დიდი სიკეთე მიყავი და უბედურებას ამარიდე, შენი დიდი მადლობელი ვარ.

ავთანდილი. ნულარ დარდობ ნურაფერს, მან რაც დაიმსახურა, ის მიიღო და ამის შემდეგ შენ ვერავინ შეგაწუხებს, სჯობს ისევ იმ ქალის ამბავს მივუბრუნდეთ. იმ ციხე-ქალაქში მაცხოვრებლებს ქაჯებს რატომ ეძახიან, ან იმ ქალთან რა ესაქმებათ?

ფატმანი. ქაჯები იმიტომ ჰქვიათ, რომ გრძნეულობაში, ანუ ალქაჯობაში განაფულნი კაცნი ერთად შეყრილან, მათ მტერი ვერაფერს აკლებს, მათ შეუძლიათ საშინელი ქარიშხალი აღძრან და ზღვაში ხომალდები ჩაძირონ, თუ მოინდომეს, წყალს დააშრობენ ან ზედ ისე გაივლიან, თითქოს ხმელეთი ყოფილიყოს, ამიტომ ეძახიან ქაჯებს, თორემ ისე ჩვეულებრივი ხორციელი ადამიანები არიან, ძალიან მეცოდება ის ლამაზი ქალი მაგათ ხელში რომ ჩავარდა.

ავთანდილი. ის ლამაზი ქალი ინდოეთის მეფის, ფარსადანის ერთად-ერთი ასულია, რომელსაც სახელად ნესტან-დარეჯანი ჰქვია, ხოლო მისი შეყვარებული ტარიელი,

ინდოეთის ამირბარია, მეფის ერთი სამეფოს სრული ბატონ-პატრონი, მათ ერთმანეთი ძალზედ შეყვარებიათ, მაგრამ ფარსადანს სიძედ ხვარაზმის შაპის შვილი მოუწვევია, ტარიელმა იგი მოჰკლა და თავს დიდი უბედურება დაიტეხა, ნესტან-დარეჯანის გამზრდელმა, მეფის დამ დავარმა ის ქალი ზანგ მონებს გადასამალად გაატანა, ტარიელიც მის საძებნად აი უკვე რამდენი წელი უზო-უკვლოდ მინდოორ-ველად დაეხეტება, დამეხმარე და ერთად შევეცადოთ რამით უშველოთ შეყვარებულებს, ერთმანეთს შევახვედროთ და უზომოდ გავახაროთ. ასეთ კეთილ საქმეს ყველა მოგვიწონებს, შენი გრძეული მსახური ქაჯეთს კიდევ გავგზავნოთ და იმ ქალის შესახებ ყოველივე დაწვრილებით გავიგოთ.

ფატმანი. ღმერთო დიდებულო, ეს რა კარგი ამბები მესმის დღეს, ასეთ კეთილ საქმისათვის რატომაც არ გავირჯები. უნდა გაგახარო, ქაჯეთის ციხეში კაცს კვლავ გავაგზავნი, თან წერილს გავატან, სადაც ქალს შევეკითხები, რით შეუძლია ფატმანს და შენს შეყვარებულ ტარიელს შენი დახმარება-თქო (იგი მსახურს იხმობს, წერილს დაწერს და ეტყვის), სასწრაფოდ წაიღე ეს წერილი ქაჯეთის ციხეში იმ დატყვევებულ ქალთან. პასუხიც წერილობით უნდა მაცნობოს დღე დღეზედ. (მსახური თავს დაუკრავს და გადის). ეხლა კი ჩემო ავთანდილ, მოდი მე და შენ მოვილხინოთ, მე შენ ერთ ლამაზ სიმღერას გიმღერებ. (ფატმანი კედლიდან იღებს საკრავს და ნაზი ხმით უმღერის ავთანდილს).

„ჰე მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად, მით შეგქმნა მოშორვებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად, ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მაღებლად, მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩს, დასაქადებლად.

შენ გტრფიალობენ მჯვრტელნი, შენთვის საპრალოდ ბნდებიან, ვარდი ხარ, მიკვირს, ბულდულნი რად არ შენზედა კრთებიან! შენი შვენება ყვავილთა აჭნობს, ჩემნიცა ჭნებიან, სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან.

ღმერთი მყავს მოწმად, ვიშიშვი თქვენსა ამისსა თხრობასა, მაგრა რა ვირვო დღე-კრულმან, სრულად გავჰყრივარ თმობასა გული ვერ გასძლებს ნიადაგ შავთა წამნამთა სობასა, თუ რას მეწევი, მეწიე, თვარა მივხდები ცნობასა.

ავთანდილი. ეს რა კარგი სიმღერა გცოდნია ფატმა-ხათუნ, ვგრძნობ შენს სიმღერაში ჩემდამი სიყვარული იგრძნობა, თქმა შენ დამასწარ, თორემ შენგან მე უფრო მაქვს ცეცხლი მოდებული, ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი არ არის და ორივეს ერთი წადილი გვაქვს – ერთ-მანეთის ტრფობა.

ფარდა იხურება და კვლავ იხსნება
(ფატმანი და ავთანდილი საუზმობენ)

ფატმანი. ჩემი მსახური გუშინ წასული, დღეს უნდა მოსულიყო, მიკვირს რატომ იგვიანებს (მოახლე შემოდის და ფატმანს მოახსენებს).

მოახლე. გუშინ გაგზავნილი ქაჯეთს თქვენი მსახური გეახლათ.

ფატმანი. ახლავე აქ დამიძახე. (ოთახში ზანგი მსახური შემოდის). აბა, მითხარი ჩქარა, რა გამიგე იმ ქალზე?

მსახური. ქალბატონო, თქვენი დავალება შევასრულე, ვნახე ნესტან-დარეჯანი და მისი წერილები მოგიტანეთ, ერთი თქვენთვის და მეორე მისი შეყვარებულისათვის. თან მისთვის თავის მოსასხამის მოჭრილი წანილი გამომატანა ნიშნად. (მსახური წერილებს და ძვირფას ნაჭერს ფატმანს აძლევს. ფატმანი წერილს ართმევს და სწრაფად კითხულობს).

ფატმანი. ნესტან-დარეჯანი გვწერს, რომ ქაჯთა მეფე და მისი

გრძნეულნი ჯერ არ მოსულანო. მას მეომართა უთვალავი ლაშქარი გარს ახვევია და ამაოდ ნუ ეცდებით ჩემს დახსნასო, ტარიელს ცალკე წერილში უწერს, რომ მის დასახსნელად ნუ წამოვა, რადგან შეიძლება დაიღუპოსო და მე მის გარეშე თავს არ ვაცოცხლებო.

ავთანდილი. (იგი მეტად გახარებული, როგორც კი ფატმანმა წერილის კითხვა დამთავრა შესძახა). მაღალო ღმერთო, შენი მადლობელი ვარ, რომ ნატვრა შემისრულე. (შემდეგ ფატმანს მოუბრუნდება და ეტყვის). შენი დიდი მადლობელი ვარ ფატმან, რაც შენ ჩემთვის გააკეთე, იმას შენ ვერაფრით გადაგიხდი, ზღვის ყაჩალთა განძიდან რამდენიმე საუკეთესო ნივთს გისახსოვრებ (ავთანდილი ფატმანს ძვირფას ნაჭერში გახვეულ ოქროს ნივთებს აძლევს). ეხლა კი უნდა წავიდე, მეტი მოცდა არ შემიძლია, უნდა ვიჩქარო, დათქმულ დროზე მისვლა არ დამაგვიანდეს. ქაჯთა გრძნეულ ჯარის მოსვლამდე ჩემს მეგობრებთან ერთად ჯარით დავბრუნდებით ქაჯების ამოსაწყვეტად, ტარიელისთვის წერილსა და ქალის ნიშანს მე წავიდებ და პირველი კარგი ამბით ჩემს მეგობარს მე გავახარებ.

ფატმანი. ძვირფასო, შენ რომ გშორდები, გული მიბნელდება, მაგრამ მთავარია იჩქაროთ, ქაჯების დაბრუნებამდე იქნებ დაასწროთ, თორემ შემდეგ გაგიძნელდებათ (ავთანდილმა ფრიდონის მსახურნი იხმო და უთხრა).

ავთანდილი. სასიხარულო ამბავი გავიგე, ტარიელის საცოლის, წესტან-დარეჯნის ადგილსამყოფელს მივაგენით, წადით და თქვენს ხელმწიფეს და ჩემს ძმადნაფიც ფრიდონს ამის შესახებ მოახსენეთ, მე თვითონ საშური საქმის გამო მას ვერ ვინახულებ, ქალი ქაჯეთის ციხეში არის გამომწყვდეული და მალე მის გასანთავისუფლებლად ბრძოლა გველის. ფრიდონის ომახიანი ყიჟინი მტერს დათრგუნავს და ჩვენ გაგვახა-

რებს, თქვენ კარგად მემსახურეთ და პატივი მეცით, ამიტომ რაც ავაზაკებისაგან ნადავლი წამილია, სუ-ყველაფერი თქვენი იყოს, ფრიდონთან წერილსაც გაგატანთ (იგი სასწრაფოდ წერილს წერს და მათ აძლევს). გთხოვთ იჩქაროთ. (ავთანდილი ფრიდონის მსახურებს ემშვიდობება და ისინი გადიან. შემდეგ იგი ემშვიდობება ფატმანს და მათ მსახურებს. ავთანდილი მიდის ტარიელთან).

სცენა №11

გამოქვაბულის შესასვლელი. ავთანდილი მეგობარ ტარიელს ეძახის, გამოქვაბულიდან ტარიელი და ასმათი გამოდიან, მეგობრები ერთმანეთს გადაეხვევიან, გადაკოცნიან და სიხარულს ვერ მაღავენ.

ტარიელი. შენი ნახვა რახან მელირსა, რაც არ უნდა ტანჯვაში ვიყო, უკვე აღარ ვნაღვლობ.

ავთანდილი. (ილიმება და ტარიელს სასიხარულო ამბავს ახარებს) შენი შეყვარებულის ამბავი გავიგე და ამის შემდეგ შენი სიცოცხლე ხალისით აივსება.

ტარიელი. ძნელი დასაჯერებელია, რომ მის შესახებ რაიმე ამბავი გაგეგო.

ავთანდილი (ილიმება და უბიდან იღებს ნესტან-დარეჯანის მიერ გამოგზავნილ ძვირფას შავი მოსასხამის ნაჭერს და ტარიელს აჩვენებს. ტარიელმა იცნო მოსასხამი, გამოართმევს და გულში ჩაიკრავს და გონებას დაკარგავს. იგი ხეს მიეყუდება, ავთანდილი და ასმათი ცდილობენ მოასულიერონ, როგორც იქნა იგი თვალს ახელს). შენმა შეყვარებულმა შენ წერილიც გამოგიგზავნა (იგი უბიდან წერილსაც იღებს და ტარიელს აძლევს). წაიკითხე, ოღონდ გული არ წაგი-

ვიდეს კიდევ. (ტარიელი სატრფოს წერილს კითხულობს და თვალზედ ცრემლი ადგება). შენისთანა განსწავლულ კაცს, ეგ არ ეკადრება, უნდა გიხაროდეს! შენ კი სტირი. ადექი, შესაფერისად გავიხაროთ, მერე კი შევსხდეთ ცხენებზე და მის გამოსახსნელად წავიდეთ ქაჯეთის ციხისკენ: ვინც წინ დაგვიდგება, მას სიცოცხლეს გამოვასალმებთ.

ტარიელი. მე შენ, ავთანდილ, ამ სიკეთეს ალბათ ვერასოდეს გადაგიხდი, მაგრამ ჩემს მაგიერ ღმერთი გიზღავს სამაგიეროს (იგი ავთანდილს გადაეხვევა). ასმათი — ღმერთმა მოწყალება გამოგვიგზავნა და აგვიხდა სურვილი, ვიპოვეთ ჩემი მთვარე დაკარგული. აწი, ჭირი ლხინად შეგვეცვლება.

ასმათი (ავთანდილს გადაეხვევა და მას ეკითხება). კიდევ რა შეიტყვე, გეხვეწები, ჩქარა მიამბე (ავთანდილი მას ბარათს აწვდის და ეუბნება).

ავთანდილი. აი ნახე შენი გაზრდილის ნაწერია, მის ტანჯვას ბოლო მალე მოელება და ჩვენი გულებიც გაიხარებს. (ასმათი ბარათს დახედავს და ნესტან-დარეჯანის ნაწერი მაშინვე იცნო, იგი თრთოლვამ აიტანა და იტყვის).

ასმათი. ღმერთო, ეს რა ვნახე და რა გავიგე, დავიჯერო ეს ყოველივე ცხადში ხდება თუ სიზმარია?

ავთანდილი. ნუ გეშინია დაო, ნამდვილად ყოველივე ცხადია და სიმართლე, დამთავრდა ჭირი, ახლა მხოლოდ უნდა ვილხინოთ, „ბოროტსა სძლია კეთილმა არსება მისი გრძელია“.

ტარიელი. საინტერესო ამბავი მინდა მოგიყვე, აქ რომ დევები ამოვნყვიტე, მას შემდეგ მათი დიდძალი განძი ხელუხლებლად არის, მე იგი არაფერში დამჭირვებია და არც მინახავს, მოდი საუნჯე გავხსნათ და ვნახოთ შიგ რა სიმდიდრე დევს.

ავთანდილი. კარგი, ვნახოთ! (და ტარიელს გაყვება, ისინი სამივე გამოქვაბულში შედიან, იქ ჩარაზულ ერთ კარს

დაამტვრევენ და მათ თვალწინ უამრავი და უმაგალითო განძი გადაიშალა. ოთახი სავსე იყო ოქროსა და ვერცხლის ნივთებით. განძთან ერთად, ისინი სამხელს აბჯარ-იარალს იპოვნიან, ესენი იყო ხმლები, მუზარადები და ჯაჭვის პერანგები, ტარიელი და ავთანდილი ჯაჭვის პერანგებს გადაიცვამენ და იარალს აისხამენ).

ასმათი. ახლა ნამდვილად დაუმარცხებელი მეომრები ხართ, ბედმა წყალობით გადმოგხედოთ.

ტარიელი. ეს ერთი ხელი აბჯარ იარალი ფრიდონს წავუღოთ, და საგანძურიც თან წავიღოთ, გზაში გამოგვადგება. ეხლა მოვილხინოთ და ხვალ დილით სამივე ფრიდონისაკენ მიმავალ გზას გაუდგეთ, შემდეგ კი ერთიანი ძალით ქაჯეთს მივადგეთ.

სცენა №12

ქაჯთა ქალაქი. სცენის მარცხენა კუთხეში ამაღლებული ბორცვი მოჩანს, რომელზედაც დგანან აბჯარაში ჩამჯდარი, იარალასხმული სამი მეგობარი — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. ისინი ცხარედ რაღაცაზე ბჭობენ. მათ გვერდზე მეომრები წვანან, ბორცვის წინ დობეა, რომელშიც დიდი რკინის ჭიშკარია დატანებული. ჭიშკრის იქით მაღალი კოშკი არის აღმართული, მასში ასავლელი კიბე მოჩანს, კოშკს გარშემო ქაჯეთის ჯარისკაცები იცავენ.

ფრიდონი. მე ჩემსას მოგახსენებთ და მგონი არ უნდა ვცდებოდე, ჩვენ ცოტანი ვართ, ქაჯთა ქალაქში კი დიდი ლაშქარი დგას, პირისპირ თუ შევებმებით, ვერაფერს გავხვდებით, ბევრი მეომარი დაგვეხოცება. ყმანვილობის დროს ჯამბაზობას მასწავლიდნენ, თვალის დახამხამებაში თოკზე სწრაფად ისე გავირბენდი,

რომ ყველას გაკვირვებულს ვტოვებდი, მაღალი გა-
ლავნის საყრდენს თოკის მარყუჟი მოვახვიოთ, მე
თოკზე სწრაფად გავივლი აბჯარასხმული და გალა-
ვანს სწრაფად გადავევლები, მცველებს დავხოცავ და
თქვენ კარს გაგიხსნით, შემდეგ ერთად მტერს ადვი-
ლად დავძლევთ.

ავთანდილი. რა გვეთქმის, ჩვენ შენს გეგმას ვერ დავემდურე-
ბით, ჯანლონით სავსე ხარ, ხიფათს არ უფრთხი, მაგ-
რამ აბა ნახე გუშაგები რა ახლოს დგანან ერთმანეთ-
თან, არა მგონია შეუმჩნევლად გადახვიდე თოკით,
გუშაგები აბჯრის ხმას გაიგებენ, თოკს გადაგიჭრიან
და ყველაფერი ფუჭად ჩაივლის, საქმეს სხვაგვარად
უნდა უშველოთ, მცველები შემავალ მგზავრებს არას
ერჩიან და ქალაქში დაუბრკოლებლად უშვებენ,
თქვენ აქ სადმე დაიმალეთ, მე კი ვაჭრულად ჩავიც-
მევ, აბჯარს ჯორს ავკიდებ, ქალაქში მარტო შევიპა-
რები, სამივე თუ ერთად გვნახონ, განზრახვას
მიგვიხვდებიან, რომ შევალ, მცველებს დავერევი და
ყველას ამოვნყვიტავ, კლიტებს დავლენავ და თქვენ
ქალაქის კარს გაგიღებთ, თუ რამ უკეთესი გაქვთ
სათქმელი, თქვით და მოგისმენთ.

ტარიელი. ვხედავ ნამდვილი გმირები ხართ, თქვენი რჩევები
თქვენ მამაცობაზე მეტყველებს, ფიცხელი ბრძოლა
გვწყურია და გახურებულ ომში თუ გაგვიჭირდა, აი,
მშველელი მაშინ გჭირდება, ახლა ჩემზეც იფიქრეთ,
მე რა უნდა ვაკეთო, ჩემი შეყვარებული ზემოდან რომ
გადმომხედავს და თქვენ გახურებულ ომში დაგინახ-
ავს, მე კი უსაქმოდ მყოფი, ხომ შევრცხვი და თავი
მომეჭრება. არა, ასე არ ივარგებს. ჯობს, შემდეგ-
ნაირად მოვიქცეთ: რაზმი თანაბრად გავყოთ, თითოს
ას-ასი კაცი შეგვხვდება, ცხენებით სამი მხრიდან
სხვადასხვა ჭიშკრისკენ ნელა წავიდეთ. ასე ცოტანი
მგზავრები ვეგონებით, აბჯარი დამალული უნდა

გვქონდეს, მივუახლოვდებით თუ არა, ხმლები ვაუ-კაცურად დავატრიალოთ, მტერს გონს მოსვლა არ ვაცალოთ, ყველა ერთიანად ვეკვეთოთ და კარის დახშობის საშუალება არ მივცეთ, სამიდან ერთი ხომ მაინც შევაღწევთ შიგნით და იმ ერთმა შიგნით მცველები უნდა დახოცოს, დანარჩენები გარეთ ლაშქარს დავერევით და მუსრს გავავლებთ.

ფრიდონი. კარგად ვიცი, რომ მაგ ჩემს ნაჩუქარ ცხენს, შენ რომ გყავს ტარიელ, ისე ჩქარია ვერავინ მოასწრებს კარის დახშობას, არ მეგონა თუ ქაჯეთს ლაშქრობა მოგვინევდა, თორემ მაგ ცხენს არ გიძლვნიდი და ძუნწობას გამოვიჩნდი (სამივე მეგობარი იცინის და ტარიელის გეგმას დათანხმდებიან. იწყება ბრძოლისთვის მზადება. რაზმს თანაბრად გაიყოფენ და ციხის შეტევის-თვის მოემზადებიან. ტარიელი თავისი მეომრებით პირველი ეშვება ამაღლებულ ბორცვიდან და ქალაქის კარიბჭესთან მიდის, მას და მის მეომრებს იარაღი პერანგის ქვეშ აქვთ დამალული, კართან ქაჯების მცველები დგანან, რომლებსაც ვაჭრები გონიათ მოსულები და კარში ატარებენ. შევლენ თუ არა კარებში, ტარიელი და მისი რაზმი ხმლებს იშიშვლებენ და შიგ მყოფ მცველებს დაერევიან, ამ დროს ფრიდონი და ავთანდილი თავის რაზმებით ბორცვიდან სწრაფად ჩამოდიან და კარებში მდგომ ქაჯთა მცველებს დაერევიან, მცველები განგაშს ტეხენ, ქალაქში ბუკისა და დაფთაფების ხმა გაისმის. ხმალთა კვეთის საშინელი ბრძოლა გაჩაღდება. ისმის შეძახილები, დაჭრილების კვნესა, ტარიელი ჭიშკართან მიმავალ კიბეს დაადგება, მას წინ მრავალი ქაჯეთის ციხის მეომარი იარაღით გზას გადაუკვეთავენ, მაგრამ ტარიელი ყველას ანადგურებს ხმლით და მაღლა მიინევს, სადაც შეყვარებული ეგულება, უცბად კოშკის სარკმელი იხსნება და ნესტან-დარე-

ჯანი გამოიხედავს, შემდეგ იგი კოშკის კიბეზე ჩამორბის და გამარჯვებულ ტარიელს გადაეხვევა, ტარიელი მარცხენა ხელით მუზარადს მოიხსნის და გადააგდებს, მოეხვევა და გადაკოცნის ნესტან-დარეჯანს. მარჯვენა ხელში გასისხლიანებული ხმალი უჭირავს, მის გარშემო კი მრავლად ყრიან დახოცილი ქაჯთა ციხის დამცველნი).

ავთანდილი. (ფრიდონს ეკითხება) სად არის ჩვენი ძმობილი?

ფრიდონი. (ხელით აჩვენებს ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს და ეტყვის) ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა. (მეგობრები შეყვარებულ წყვილთან ახლოს მივლენ და მათი სიხარულით ტკბებიან. შემდეგ, ტარიელის სატრფოს მიესალმებიან მოწინებით).

ტარიელი. (მიმართავს თავის შეყვარებულს) ესენი ჩემი მეგობრები არიან, რომლებმაც ჩვენი ბედნიერებისათვის საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაზოგეს. გაიცანი, ავთანდილი და ფრიდონი (ნესტან-დარეჯანი მათ გაუღიმებს და ორივეს გადაკოცნის).

ავთანდილი. გამარჯვებას მოგილოცავ ტარიელ, კარგია, რომ მტრის მახვილმა არცერთი არ დაგვაზიანა.

ფრიდონი. სამასი კაციდან ას სამოცი შემოგვრჩა, მიმძიმს მეომრების დაღუპვა, მაგრამ თან მიხარია, რომ ისინი კეთილ საქმეს შეენირნენ, მაგრამ მტერი სრულად ამოწყვიტეს და იმდენი საუნჯე იპოვეს, რომ დათვლას ვერ აუდიან.

ტარიელი. თქვენ რომ არა ძმებო, მე ამ გამარჯვებას და სიხარულს ვერ ვეღირსებოდი (მეომრებს გამოაქვთ ქაჯეთის ციხიდან სიმდიდრე და ტარიელს და მის შეყვარებულს ფეხებთან უყრიან). ეს სიმდიდრე: მარგალიტი, ზურმუხტი და ლალ-იაგუნდი აქლემებს აპკიდეთ, შენ კი, ჩემო ძვირფასო (მიმართავს იგი შეყვარებულს) ტახტრევანში ჩაჯექი, ანი შენს წართმევას ვერავინ შეძლებს. ქაჯთა ციხის მცველად სამოცი კაცი დავტოვოთ,

გულანშაროსკენ გავემართოთ, ფატმანი ჩვენი მხს-ნელი მოვინახულოთ და მადლობა ვუთხრათ, ძღვენიც მივართვათ, ასმათიც იქ გველოდება გულდამწვარი.

ფრიდონი. შემდეგ ჩემს სამეფოს ვესტუმროთ, მულაზანზარში დიდი ქორწილი უნდა გადავიხადოთ.

ტარიელი. ეგრე იყოს, ჩემო ფრიდონ, მაგრამ მერე სამივე ჩემს გამოქვაბულში წავიდეთ და დარჩენილი უთვალავი საგანძურო წამოვილოთ, ყველას მინდა პატივი მიგა-გოთ და საგანძურო გაგინანილოთ, მაგრამ ძირითა-დად ფრიდონ, შენ მინდა გიძლვნა იგი, რადგან ვიცი, რომ მენს ვალს ამით მაინც ვერასოდეს გადავიხდი.

შემდეგ ყველა არაბეთს უნდა გავემგზავროთ და ჩემს ძმობილ ავთანდილს პატივი მივაგოთ, სანამ მას მე თავის შეყვარებულის გვერდით არ ვიხილავ, მე ვერ მოვისვენებ, არაბეთის მეფეს როსტევანს წინ მუხლე-ბით დავეჩოქებ და შენთვის, ჩემო ავთანდილ, თინა-თინის ხელს ვთხოვ და ოცა თქვენ ქორწილს გადაიხ-დით, შემდეგ ინდოეთში ჩემს ქორწილშიც მოვილხინოთ. (ამის შემდეგ ჯარისკაცები ნესტან-დარეჯანს ტახტ-რევანში ჩასვამენ, აწევენ და მიდიან, მათ უკან მიყვე-ბათ სამი მეგობარი და დანარჩენი ჯარისკაცები, რომლებიც ოქრო-ვერცხლით დატვირთულნი არიან).

სცენა №13

არაბეთი, როსტევან მეფის სასახლე, სასახლეში საზეიმო განწყობილება სუფევს, იქ მრავალ დიდებულს მოუყრია თავი, სამეფო ტახტზე სხედან როსტევან მეფე, ხოლო მის გვერდით მისი ულამაზესი ასული თინათინი. როსტევანს ეახლება ვეზირი და მოახსენებს.

ვეზირი. დიდო მეფეო, ავთანდილი დაბრუნდა და სასახლეში მოეშურება თავის ძმადნაფიც ტარიელთან და მის საცოლესთან ერთად.

როსტევანი. (გახარებული ამ ამბით ეუბნება) ძალზედ გახარებული ვარ ამ სასიამოვნო ამბით, სთხოვეთ რომ შემოვიდნენ, მე მზად ვარ მათთან შესახვედრად (ამ დროს ისმის ბუკისა და ნაღარის ხმა, სასახლის კარი იხსნება და გამოჩნდებიან მდიდრულად ჩაცმულნი ავთანდილი, ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ფრიდონი და ასმათი. როსტევანი და თინათინი სამეფო ტახტებიდან წამოდგებიან და ძვირფასს სტუმრებს მიეგებებიან).

ავთანდილი. (მიესალმება როსტევანსა და თინათინს და მდაბლად თავს დაუკრავს) დიდო მეფეო, მაპატიე რომ შენს დაუკითხავად წავედი, მაგრამ სასიკეთო საქმისთვის ვირჯებოდი, მინდა წარმოგიდვინო ის უცნობი ყმა, რომელიც ასე საიდუმლო ვითარებაში შეგვხვდა წადირობის დროს, იგი მე ძმასავით შევიყვარე და მე მას შეყვარებულის პოვნაში დავეხმარე, რომელიც ინდოეთის მეფის ფარსადანის ერთად-ერთი ასულია, ნესტან-დარეჯანი, ხოლო უცხო მოყმე, ინდოეთის მეფე ლომი ტარიელია, მის გვერდით დგას ჩვენი ძმადნაფიცი ფრიდონი, რომელიც მულაზანზარის მეფეა და წარმოგიდვენ აგრეთვე ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ერთგულ მეგობარს ასმათს, რომელმაც მათთან ერთად გადაიტანა გაჭირვება. სიკეთემ გაიმარჯვა, და დღეს ყველანი ერთად შენს წინაშე წარვსდექით. გთხოვთ, ჩვენს სტუმრებს პატივი მიაგოთ. (როსტევანი და თინათინი სტუმრებს მიესალმებიან და გადაკოცნიან).

ტარიელი. დიდო ხელმწიფევ, მე - ინდოეთის მეფე, მოწინებით მოგახსენებთ, რომ თქვენი სასახლისაკენ კეთილი სურვილებით აღსავსე მოვეშურებოდი, თქვენს მინანყალზედ ადრეც ვყოფილვარ, მაშინ ეს ინყინეთ და ავად მომექეცით, შესაბყრობად ლაშქარი მომისიეთ, მახსოვს მეომრები მრავლად დაგიხოცეთ, ეხლა ამის

გამო პატიება მინდა გთხოვოთ და წყრომა მაკმაროთ, ხელცარიელი თქვენთან არ მოვსულვარ, ავთანდილი თქვენთვის საუკეთესო ძლვნად მომირთმევია, ვიცი რომ შვილივით გიყვართ.

როსტევანი. მოხარული ვარ თქვენი ნახვით და გაცნობით, ასევე თქვენი და ავთანდილის დამეგობრებით, დღეს თქვენ ყველა ჩემი საპატიო სტუმრტები ხართ, მობრძანდით და საპატიო ადგილას დაბრძანდით (სასახლეში საზეიმო სუფრა იშლება. ტარიელმა როსტევან-მეფე გვერდზე გაიხმა და უთხრა).

ტარიელი. დიდო მეფეო, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ. ავთანდილი თავგანწირვით ეცადა ჩემს ბედნიერების აღსრულებას და ყველაფერი გააკეთა, რისთვისაც მისი ძალიან მადლიერი ვარ, მაგრამ იგი თვითონ არის სიყვარულით დამწვარი, მისი შეყვარებული თქვენი ქალიშვილი თინათინია, მათ უყვართ ერთმანეთი, თქვენს წინაშე მოციქულად მოვსულვარ და გთხოვთ თქვენი ქალი ცოლად გმირ ავთანდილს გააყოლოთ, იგი სიყვარულით იტანჯება. (ეს თქვა და ტარიელმა მუხლი მოიყარა მეფის წინაშე, მეფემ იგი წამოაყენა ხელით და უთხრა).

როსტევანი. თქვენ კეთილო ხელმწიფევ, ამას მოწინებით მთხოვთ, რაც ჩემთვის დიდი პატივია და როგორ შეიძლება თქვენ რამე მოიწადინოთ და ვინმემ გაგანბილოთ, თუნდაც ის რომ გეთქვათ, თქვენი ასული მონას შერთეო, ამაზეც უკან არ დავიხევდი. ავთანდილზედ უკეთეს სიძეს აბა სად ვნახავ. შვილივით მიყვარს და გამიზრდია, თანაც ხელმწიფე ჩემი ასული თინათინიც მისი მდომია და მის არჩევანზე მეც გული მერჩის. (ტარიელი თავს მდაბლად დაუკრავს ხელმწიფეს და მადლობას მოახსენებს. ამ დროს თინათინი ავთანდილს გვერდით ამოუდგება, მას თავზე მდიდრული დედოფლის გვირგვინი ადგას, ხელში კი —

სკიპტრა უჭირავს, ტანზედ ძონეულის სამეფო სა-მოსი შვენოდა, როსტევანმა თინათინი და ავთანდილი სამეფო ტახტზე გვერდი-გვერდ დასვა და სიყვარუ-ლით დალოცა მეფე-დედოფალი).

როსტევანი. აწი, ჩემო შვილებო, ღმერთმა ათასი წელი დღე-გრძელობა არ მოგაკლოთ, ქვეყანას ბარაქა და თქვენ დიდება არ მოგაკლოთ, მე კი თქვენი შემყურე მხო-ლოდ გავიხარებ და როცა ჩემი დროც წავა, თქვენი ხელით მეღირსოს დამარხვა. (შემდეგ ლაშქარს გა-მოუცხადებს) ღვთის ნება-სურვილით, ახლა თქვენი მეფეა ავთანდილი, ამიერიდან ჩემი ტახტი მისთვის დამილოცნია და გიბრძანებთ, თაყვანი სცეტ მეფე-დედოფალს და როგორც მე მემსახურეთ, ისე მათ ემსახურეთ ერთგულად. (იქ მყოფი მეომრები და მხედართმთავრები ფეხს იდრეკენ და მოწინებით თაყვანს სცემენ მეფე-დედოფალს).

ტარიელი. (მიმართავს ავთანდილს და თინათინს) მე თქვენ არასდროს გილალატებთ, ჩემი იმედი მუდამ გქონ-დეთ, თქვენს მტერს კი არ გავახარებ. (შემდეგ თინა-თინს მიმართავს) შემიყრიხართ და დარდი აღარ მაქს, ქმარი შენი ჩემი ძმაა და შენ კი და ხარ ჩემი. (სასახლეში საზეიმო საქორნილო სუფრა არის გაშ-ლილი, ყველა მხიარულობს და ავთანდილს და თინა-თინს ულოცავენ ბედნიერებას, ისმის სიმღერის ხმა, საკრავები სასიამოვნოდ უკრავენ, არაბი ქალები კი ხალიჩაზე ლამაზად ცეკვავენ. მეფის სავარძლებში სხედან არაბეთის მეფე-დედოფალი, ავთანდილი და თინათინი, ასევე მეფის სავარძელში მათთან გვერ-დით სხედან ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, ფრი-დონი და როსტევანი. როსტევანი ძრვირფასი საჩუქ-რებით ასაჩუქრებს თავის სტუმრებს, ტარიელს და ნესტან-დარეჯანს მიართმევს თითო-თითო ძვირ-ფასი ქვებით მოჭედილ სკიპტარს. როგორც მეფის

ძალაუფლების ნიშნებს, სამეფო შესამოსელს და ძვირფას გვირგვინებს თვალ-მარგალიტით მორთულს. არც ფრიდონი დავიწყებია, მას უბოძა თვალ-მარგალიტით სავსე ლანგრები და ძვირფასად მორთული ცხენის უნაგირი. უცბად ტარიელთან მაცნე მიდის და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს. ტარიელი წამოდგება და შეკრებილთა გასაგონად განაცხადებს). მსტოვარმა ცუდი ამბავი შემატყობინა, ინდოეთის მეფე ფარსადანი გარდაიცვალა. (ამ ამბავმა ყველა დაამნუხრა, ნესტან-დარეჯანი ტირილს იწყებს, ტარიელი ამშვიდებს). თქვენთან კარგია ყოფნა, მაგრამ ამ ამბავმა დაგვამწუხრა და მეტს ვეღარ დავრჩებით, ჩემს სამეფოს უნდა მივხედო, მტერი მას ნახირივით შეესევა. ვიცი, ჩემი წასვლა თქვენ დაგაღონებთ, მაგრამ დროზე უნდა წავიდე, აქ კი დაყოვნებამ ავი საქმე არ მიყოს. მჯერა, ჩემი მარცხი თქვენ დაგაღონებთ. ღმერთმა ქნას გალალებულნი კვლავ მენახოთ.

როსტევანი. მეფეო, ნურაფრის გერიდებათ, ყოველივე კარგად განსჭვრიტეთ და როგორც გიჯობდეთ, ისე მოიქეცით. ავთანდილი თან წაიყვანეთ, ლაშქარსაც გაგაყოლებთ, რომ მტერი ადვილად დაამარცხოთ.

ტარიელი. რას ბრძანებთ მეფევ ბატონო, ავთანდილი ახლად შერთულ ცოლს როგორ უნდა მოვაშორო, ეგრე საქმეს არ ეშველება, ჩემს საქმეს მე მარტო მოვუვლი.

ავთანდილი. (მიმართავს ტარიელს) მაგ სიტყვით ვერ მომატყუებ, ძალიან გინდა დამტოვო (თან იღიმება), რომ მერე ჩემს გაკიცხვას მოყვე, ცოლის სიყვარულით გამიმეტაო, მე მეგობარს არ მივატოვებ და თან წამოგყვები. (ყველა გაიცინებს).

ტარიელი. რახან გწადია, კარგი, წამომყევი, უშენოდ მე უფრო დავიტანჯებოდი. (ავთანდილი მყისვე სამზადისს შეუდგა, სარდლებს უბრძანა ჯარის შეყრა და გამგზავრება ინდოეთში, როსტევანი და თინათინი დალონდნენ).

როსტევანი. (ტარიელს ეტყვის) შენი სიახლოვე სიზმარი მგონია, მოსვლით გაგვახარე, წასვლით კი — გულს გვწყვეტ. (ტარიელი მეფეს გადაეხვევა და დაემშვიდობება, ერთმანეთს ემშვიდობებიან ნესტან-დარეჯანი, ასმათი და თინათინი, ისინი ერთმანეთს გადაკოცნიან).

ნესტან-დარეჯანი. (მიმართავს თინათინს) განშორება შენგან ძალიან მიმძიმს, ავთანდილმა ჩვენ დიდი პატივი დაგვდო და ჩვენ ვალში ვართ თქვენს ოჯახთან, თუ რამ გაგიჭირდათ, აუცილებლად გვაცნობეთ.

თინათინი. მეც ძალიან შემიყვარდი და ძალიან მომენატრები, მაცნობე წერილით ყოველივე. ამ განშორებას თუ გაუძელი, შენს თავს რა დამავიწყებს, იმდენი შენი თავი კარგად მყავდეს, რამდენიც ჩენს ნატვრაში ცრემლი დავლვარო (ისინი კვლავ გადაკოცნიან ერთმანეთს).

ფრიდონი. ჩემზედ რატომ არავინ ფიქრობს, განა ესეთი რა დაგიშავეთ, რომ მარტოს მტოვებთ და არ მიგყევართ ინდოეთში, მე უთქვენოდ რა გამაძლებინებს, გინთად თუ არა, მე თქვენთან ერთად მოვდივარ, სადაც თქვენ, იქაც მე. ტარიელს და ნესტან-დარეჯანის ქორწილში მეც მინდა მოვილხინო. (ყველას ღიმილმა გადაუარა).

ტარიელი. ძვირფასო ფრიდონ, შენს ძმობაში და მეგობრობაში ეჭვი არავის ეპარება. შენ ჩვენთვის რა სიკეთეც გააკეთე, ენა არ მიტრიალდება, მაგრამ შენ კვლავ შენს სამეფოს მოგწყვიტო და თან წაგიყვანო არ ვიქნები მართალი, თორემ შენი ჩემს გვერდზე ყოფნა, ეს ჩემთვის დიდი სიხარულია. თუ გული გერჩის, წამოდი და ვნახოთ ინდოეთი — ჩემი ქვეყანა, რომელიც შეიძინები სამეფოსაგან შედგება, მინდა ჩემსა და ნესტან-დარეჯანის ერთგულ მეგობარს თაყვანი გცეთ, მოგეფეროთ განსაკუთრებით. ასმათს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ერთგულებისა და თავდადებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა, როცა ჩვენ გატან-ჯულები ერთმანეთის ძებნაში არ მიგვატოვა და

ერთგულად ბოლომდე გვემსახურა. (მიმართავს ას-
მათს) შენ რაც ჩვენთვის ჩაიდინე, ჩვენს გამზრდელ-
საც არ უქნია, ახლა მეც მინდა სიკეთე სიკეთით გადა-
ვიხადო. ინდოეთის შვიდ სამეფოთაგან ერთი შენთვის
მიბოძებია და უპატრონე, ქმრად ვინც გინდოდეს, ის
აირჩიე და თქვენი საგამგებლოდან ტკბილად გვემ-
სახურეთ, ჩვენც წყალობას არ მოგაკლებთ. (ასმათი
ტარიელს მუხლებზედ მოეხვევა და იტყვის).

ასმათი. შენით მიდგას სული და ღონე, შენი მორჩილი მსახური
ვიყო და ამაზე უკეთესი რა უნდა ვინატრო, შენი დიდი
მადლობელი ვარ.

ტარიელი. ეხლა, ჩემო ერთგულო მეგობრებო, ინდოეთისკენ
გავწიოთ, ვიგლოვოთ მეფე ფარსადანი, როგორც მას
ეკადრება, შემდეგ კი ლხენა და ქორწილი არ მოვიკ-
ლოთ. ჩვენი ძმური სიყვარული არასდროს განელდე-
ბა, ჩვენ ჭირში და ლხინში მუდამ ერთად ვიქნებით,
სანამდის პირში სული გვიდგას (სამივე მეგობარი
ხელი-ხელ გადახვეულნი გადიან სასახლიდან. მათ
მოყვებათ მთელი სასახლე. ისმის საზეიმო დაფ-
თაფთა ხმა).

სცენა №14

ქ. თბილისი. თამარ მეფის სასახლე.

შოთა რუსთაველი (ამთავრებს პოემის კითხვას).

გასჩულდა მათი ამბავი კითა სიწმარი ღმისა.
გარდანდეს, გავლეს სოფელი, ნახეს სძუხოლე ქამისა!
კის ტრდლად გრძნობა, მისთვისაც არის ერთისა წამისა.
კრემ კინძე მესხი მელექსე მე ჰუსთველისა დამისა.

ქართველთა ღმრთისა და ვითის, ვის შეკერძებს სარებლად,
ესე ამხავი გამოესე ეე მათად საკაძათებლად,
ვის არის აღმთსა კლეით დასა კლეთს ზართა მარებლად,
თორტულთა მათთა დამზებლად, ერთურტლთა გაძახო ეძოად.

და ვითის ქმნანი ვითა ვთქენე სიჩალნე-სიხაფეთანი!
ესე ამხავი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
ბირკელ წენი და საჭენი, ქებანი მათ შეტეთანი,
ვებოკე და ლექსად გარდავთქუებ, ამითა ვიღაფეთანი.

ქსე ასეთი სოფელი, არჯისგან შისანდობელი,
წამია კაუთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვის ეძებთ, რას აჭერეთ? ბერდა მაყივნებელი,
და ვის არ შეუცხლის, კარგა, თოსავ იყოს მხლებელი.

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქა ხონელსა,
ახდელ-ძესა - ჰავთელსა, ლექსი მას უქეს რობელსა,
დილაორეთ - სარტის თმობეჭელსა, მას ენა-დაუშრობელსა,
ტარიელ - მისესა რუსთველსა, მისთვის ცოქელ-ძეუშრობელსა.

(შოთა რუსთაველმა დაამთავრა პოემის კითხვა, გრაგნილი
დაკეცა და თამარ მეფეს მიართვა. თამარ მეფე ფეხზე დგება და
ტაშს უკრავს, მასთან ერთად მთელი დარბაზი ფეხზე მდგომი
ტაშს უკრავს შოთა რუსთაველს).

თამარ მეფე. მე აღფრთოვანებული ვარ პოემის მდიდრული
ნარმოდგენით და მისი ღრმა შინაარსით, მშვენიერი
ლექსთა წყობით და სამაგალითო ენით. პოემის ში-
ნაარსი სავსეა ქართველი ხალხის ღირსეული თვისე-
ბებით, აქ სჩანს პატივისცემა ქალისა, მფარველობა
დაბალი წოდებისა, ნიჭის დაფასება, არნახული მაგა-
ლითებით ძმობისა და მეგობრობის, სულის ძლიე-
რების, ვაჟკაცობის და რაინდობის. ამისთანა მაღალი

ლირსებით სავსე თხზულება ჯერ ქართულ ენაზე არ დაწერილა, მე ვაღიარებ შოთა რუსთაველს მეფის სასახლის პირველ პოეტად. მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს მგოსანთან — ეს ლექსები გულს ვით ჩაგნერგ-დნენ, გულთა დამწველნი, ვით აღმოხდნენ, ვით დაინ-ერნენ.

შოთა რუსთაველი. დიდო მეფეო, ამ რვეულში რაც დაიწერა, შენმა ნათელმა, მშვენიერმა სახემ შთამბერა.

თამარ მეფე. (უმზერს პოეტს კმაყოფილი ღიმილით). ეს ლექს-ნი შთაბერილნი გაქვს შენ ცის მაღლით, იყავ დიდე-ბულ და დიდებულთ იყავ მშვენება, ჩემი სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება. (თამარ მეფე წაიძრობს მარცხენა თითიდან ძვირფას ბეჭედს და უბოძებს შოთას ნიშნად მადლიერებისა და წყალობისა, დავით სოსლანი დგება სამეფო ტახტიდან, მიდის შოთასთან, იხსნის თავის ხმალს და თავის ხელით წელზედ შემოარტყამს. იქ მყოფი დიდებულები რუსთაველს მიართმევენ ძვირფას ქვებში ჩასმულ ოქროს კალამს. ყველა მას ტაშს უკრავს).

სცენაზე გამოდიან პოემის გმირები —
ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი,
ასმათი, თინათინი, როსტევან მეფე.

პიესის დასასრული

